პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Совета депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოცემის 38-ე წელი | № 193 (10890) | პარასკევი, 16 აგვისტო, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები კმაყოფილების გრძნობით ეცნობიან საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ, რომელიც დღეს იბეჭდება „კომუნისტში“. სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში მოყვანილი ციფრები მოწმობენ, თუ რაოდენ წარმატებით ასრულებენ რესპუბლიკის მშრომელები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული ხელმძღვანელობით, მოძმე ხალხთა უანგარო დახმარებით იმ დიდ ამოცანებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დაგვისახა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებისა საქართველოში.

სასიხარულოა ვიცოდეთ, რომ რესპუბლიკის მრეწველობამ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა 104 პროცენტით და 1956 წლის იმავე პერიოდთან შედარებით 7 პროცენტით გაადიდა პროდუქციის გამოშვება. 1957 წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკაში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ფოლადი, ნაგლინი, 20 ლითონსაჭრელი ჩარხი, სატვირთო ავტომობილები, 27 ათასი ტონა ცემენტი, 878 ათასი მეტრი ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილები, 131 ათასი წყვილი წინდა, 89 ათასი წყვილი ტყავის ფეხსაცმელი, ორ მილიონზე მეტი პირობითი ქილა კონსერვი, 156 ათასი ტონა კარაქი და სხვა ნაწარმი.

სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულებას დიდად შეუწყო ხელი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებამ მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის დარგში. მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შედეგად რესპუბლიკის მთელ რიგ საწარმოებში ძნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. მაგალითად, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსათვის გადაცემულ საწარმოებში მუშათა შრომის ნაყოფიერება გადიდდა 3 პროცენტით 1956 წლის პირველ ნახევართან შედარებით, ზეგეგმითმა ეკონომიამ 32 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

საერთო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ამიერკავკასიის სტალინის სახელობის შეტალურგიული ქარხნის, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის, თბილისის კირთვის სახელობის ჩარხშენებელი ქარხნის, კასპისა და რუსთავის ცემენტის ქარხნების, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის კომბინატის, ტყიბულქვანახშირის ტრესტისა და ზოგიერთ სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში ამასთან ერთად დასახელებულია საწარმოები, რომლებმაც ვერ შეასრულეს ნახევარი წლის სახელმწიფო გეგმები. კერძოდ, ჩამორჩნენ ფეროშენადნობთა ქარხნის, თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის, საქართველოს ბორცის ტრესტისა და ზოგიერთ სხვა საწარმოთა კოლექტივები. აღნიშნულმა კოლექტივებმა ძალღონის დაზოგვად უნდა იმუშაონ იმისათვის, რომ წლის მეორე ნახევარში კეთილსინდისიერად მოიხადონ ვალი სამშობლოს წინაშე, გამოასწორონ ჩამორჩენა და წარმატებით შეასრულონ წლიური გეგმა.

სწრაფად ვითარდება რესპუბლიკის სოციალისტური სოფლის მეურნეობა. ბიმდინარე წელს 1956 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა მარცვლეული და პარკოსანი კულტურების ნათესი ფართობები. კერძოდ, ხორბლის ნათესი ფართობი გადიდდა 13 ათასი ჰექტარით. გადიდდა აგრეთვე სიმინდის, მზესუმზირას და ბოსტნეულის ნათესები. სულ უფრო იზრდება მანქანა-ტრაქტორთა სადგურების როლი სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარმოებაში. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვნად მეტი სამუშაოები შეასრულეს, ვიდრე 1956 წლის პირველ ნახევარში.

ჯეროვანი ყურადღება ექცევა მეცხოველეობის განვითარებას. 1957 წლის 1 ივლისისათვის 1956 წლის 1 ივლისთან შედარებით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა გადიდდა 4,6 ათასი სულით, ღორისა — 11 ათასი სულით, ცხვრისა და თხისა — 95,1 ათასი სულით. რძის წარმოება კოლმეურნეობებში 1957 წლის პირველ ნახევარში გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით გადიდდა 17 პროცენტით, ხოლო 1953 წლის პირველ ნახევართან შედარებით 2,6-ჯერ.

რესპუბლიკის მეცხოველეები ახალ გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ და იბრძვიან იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანა — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. პარტიის მიერ დასახული ამ ამოცანის გადაჭრა რესპუბლიკის მეცხოველეებისაგან დიდ ენერგიას, წინდახედულებასა და შრომისმოყვარეობას მოითხოვს. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან კოლმეურნეობები, რომლებიც სათანადოდ ვერ აფასებენ საკვების დროულად და საკმაო რაოდენობით მომზადების მნიშვნელობას. ასეთი შეუფასებლობა შეუთავსებელია ისტორიული ამოცანის გადაწყვეტისათვის ბრძოლასთან.

უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა მოცულობამ რესპუბლიკაში 900 მილიონ მანეთს გადააჭარბა. კერძოდ, დიდი მოცულობის სამუშაოები სრულდება საბინაო მშენებლობის, კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის დარგში. მშრომელთა კეთილდღეობის გაუხრელი აღმაღლობა, პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრის რეალური შესაძლებლობანი და დიდი პერსპექტივა აშკარად მოწმობს, თუ რამდენად მოწყვეტილი იყო მასებისა და სინამდვილისაგან მალენკოვის, კაგანოვიჩისა და მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა პარტიის XX ყრილობის მიერ დასახულ კურსს.

საქართველოს მშრომელები, რომლებმაც მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით აღფრთოვანებულნი, უფრო მეტი ენერგიით იმუშავებენ იმისათვის, რომ ახალი წარმატებები მოიპოვონ წლის მეორე ნახევარში და საამაყო მაჩვენებლებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავს.

მოსკოვში დანიის კომპარტიის დელეგაციის ყოფნის შესახებ

მოსკოვში დანიის კომუნისტური პარტიის დელეგაციის ყოფნის დროს 7-13 აგვისტოს მიმდინარეობდა მისი შეხვედრები და საუბრები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებთან. შეხვედრების დროს განხილულ იქნა საკითხები, რომლებსაც საერთო ინტერესი აქვს, მოხდა ინფორმაციის გაცვლა ორივე პარტიის საქმიანობის შესახებ, აგრეთვე აზრთა გაცვლა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მთელ რიგ პრობლემებზე.

საკითხების განხილვა მიმდინარეობდა ამხანაგურ ატმოსფეროში, კომპარტიების ძმური სოლიდარობის სულისკვეთებით და გამსჭვალული იყო მათი საერთო მისწრაფებით იბრძოლონ მშვიდობისა და სოციალიზმისათვის, საბჭოთა ხალხსა და დანიელ ხალხს შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ა. წ. 14 აგვისტოს დანიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია კოპენჰაგენში გაემგზავრა. დანიის კომპარტიის დელეგაცია ვნუკოვოს აეროდრომზე გააცილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ო. ვ. კუსინენმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ამხ. ბ. ნ. პონომარიოვმა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელმა მუშაკებმა.

საზეიმო მიჯნგი ლუქნიკში

14 აგვისტოს ლუქნიკში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის დაბრუნებას. მიტინგზე შეიკრიბნენ მინისტრები და მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები და მუშები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და სტუდენტები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები. მიტინგს ესწრებოდნენ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ნ. ს. ხრუშჩოვს, ა. ი. მიქოიანს და დელეგაციის სხვა წევრებს, ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ნ. ა. ბულგანინს, კ. ე. ვოროშილოვს, გ. კ. ჟუკოვს, ო. ვ. კუსინენს, მ. ა. სუსლოვს, პ. ნ. პოსპელოვს, ა. ნ. კოსიგინს, მ. გ. პერვუხინს, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩს სსრ კავშირში ი. კიონიგს.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ი. ტ. მარჩენკომ.

— გულთბილი და აღტაცებული შეხვედრები, გულითადი მიღება, რომელიც საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებს მოუწყეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყოფნის დროს, — ამბობს იგი, — მკაფიოდ გამოხატავს გერმანელი ხალხის უაღრესად ფართო მასების ძმურ მეგობრობას საბჭოთა ხალხისადმი. ჩვენ, მოსკოველებს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს, გვახარებს ამ მოგზაურობის შესანიშნავი შედეგები, მისი მნიშვნელობა საბჭოთა ხალხსა და გერმანელ ხალხს შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის, მძლავრი სოციალისტური ბანაკის ძალების შემდგომი განმტკიცებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმისათვის.

ამხ. მარჩენკო დამსწრეთა და დედაქალაქის ყველა მშრომელთა სახელით ეხურავალედ ულოცავს ამხანაგებს ნ. ს. ხრუშჩოვს, ა. ი. მიქოიანს და საბჭოთა დელეგაციის ყველა წევრს მოძმე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოგზაურობის წარმატებით დამთავრებას და ამ მოგზაურობის შესანიშნავ, სასიხარულო შედეგებს.

მიტინგის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ სტუმრებს — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ა. ნოვოტნის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრს ამხ. რ. ბარაკს, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ი. გენდრიხს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ი. ცედენბალს.

მიტინგზე გამოვიდნენ დედაქალაქის მუშათა სახელით ვლადიმერ ილიასძის სახელობის ქარხნის ხარატი ტ. ე. ეფიმოვი, საბჭოთა ინტელიგენციის სახელით — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ს. დ. სკაზკინი, მოსკოველ ქალიშვილთა და ჭაბუკთა სახელით — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტი გალინა ნილოვა. ისინი ლაპარაკობდნენ საბჭოთა ხალხსა და გერმანელ ხალხს შორის მზარდ მეგობრობაზე, მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებაზე.

დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას.

ილაპარაკა რა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მოგზაურობის შესახებ, ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს მოგზაურობა საესებით წარმატებითი იყო, რომ მან არა მარტო გაამართლა, არამედ ელდვაც გადააჭარბა ყველა მოლოდინს. მან აღნიშნა დადებითი გარდატეხა, რომელიც გერმანელი ხალხის შეგნებაში მოხდა უკანასკნელი წლების მანძილზე საბჭოთა კავშირის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ ათეული წლების განმავლობაში პრუსიელი იუნკრები და გერმანელი იმპერიალისტები, განსაკუთრებით ფაშისტური დიქტატურის წლებში, წამლავდნენ გერმანელი ხალხის შეგნებას შოვინიზმის შხამით და უნერგავდნენ მას სიძულვილს ჩვენი ქვეყნისადმი.

ამხანაგმა ხრუშჩოვმა დამსწრეთ გაუზიარა შთაბეჭდილებანი, რომლებიც დელეგაციის წევრებს შეექმნათ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის მშრომელებთან მრავალი შეხვედრის შედეგად. ყველგან, თქვა მან, — ჩვენ ვხვდებოდით გულთბილობასა და ურთიერთგაგებას, ვხედავდით ისეთსავე შემოფოთებას, როგორსაც ყოველი პატიოსანი ადამიანი განიცდის მსოფლიოს ბედისათვის. ჩვენ ვგრძნობდით გერმანელთა მხურვალე სურვილს განამტკიცონ მშვიდობის ძალები, თავიდან აიცილონ ომი, განავითარონ მეგობრული ურთიერთობა ჩვენს ხალხებსა და სხვა ქვეყნების ხალხებს შორის.

— ჩვენი სახელმწიფოს ლენინურმა საგარეო პოლიტიკამ, — ამბობს შემდეგ ამხანაგი ხრუშჩოვი,—დიდი საქმე გააკეთა აგრეთვე გერმანელი ხალხის მიმართ. ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ლენინურმა პოლიტიკამ, ძმურმა დახმარებამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისადმი შეაცვალა რიგითი გერმანელების შეხედულებანი. გერმანელი ხალხის აღზრდაში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა აღზრდაში მშვიდობისა და მეგობრობის სულისკვეთებით დიდ როლს ასრულებდა და ასრულებს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია, მისი სწორი პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება მთელი გერმანელი ხალხის ინტერესებს.

შეასრულა რა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუშების, გლეხების, ინტელიგენციის თხოვნა, ამხანაგმა ხრუშჩოვმა საბჭოთა ხალხს გადასცა გულითადი მეგობრული სალამი.

ჩვენს გამოსვლებში, აცხადებს ამხ. ხრუშჩოვი, ჩვენ, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები, ვამბობდით, რომ საბჭოთა ხალხი გამსჭვალულია გულითადი მეგობრობის გრძნობით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებისადმი.

ამხანაგმა ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ მოლაპარაკების შედეგად ხელმოწერილი ერთობლივი განცხადება სავსებით შეესაბამება სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა ინტერესებსა და მისწრაფებებს და ყველა სოციალისტური ქვეყნის ერთიანობის განმტკიცების, მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცების ინტერესებს.

შეეხო რა გერმანიის გაერთიანების საკითხს, რომელიც აღელვებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებსა და ყველა გერმანელს, ამხანაგმა ხრუშჩოვმა თქვა:

— ჩვენმა პარტიამ და მთავრობის დელეგაციამ [illegible] და მთელი ხალხი [illegible] ერთიანობა [illegible] ჩვენ [illegible] ბა [illegible] ჭოთა კავშირი სავსებით იზიარებს და მხარს უჭერს გერმანიის მშვიდობიანი დემოკრატიული გაერთიანების პროგრამას, რომელიც ჩამოყალიბებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადებაში. ეს რეალური, ერთადერთი სწორი გზაა.

შემდეგ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სოციალისტური ქვეყნების ძალაა მათი ერთიანობა და დარაზმულობა. რაც უფრო მტკიცე იქნება სოციალისტური ბანაკი, მით უფრო გაუძნელდებათ იმპერიალისტებს გააჩაღონ ახალი ომი. თვითეული სოციალისტური ქვეყანა, ავითარებს რა თავის ეკონომიკასა და კულტურას, აღწევს რა ახალ წარმატებებს თავისი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, ამით ადიდებს მთელი სოციალისტური ბანაკის ძლიერებას.

დასასრულ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს უსურვა ახალი წარმატებანი გერმანიის მიწაწყალზე სოციალიზმის მშენებლობის დიდ საქმეში და გამარჯვება უსურვა საბჭოთა კავშირ-გერმანიის მეგობრობას, საბჭოთა კავშირის ხალხებს, რომლებიც ლენინის დროშით წარმატებით წყვეტენ კომუნიზმის აშენების ისტორიულ ამოცანებს.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს არაერთხელ შეაწყვეტინეს სიტყვა მქუხარე ტაშით.

მიტინგი იყო პარტიისა და ხალხის ერთიანობის მკაფიო მანიფესტაცია, გამოხატავდა საბჭოთა ადამიანების გულთბილ, მეგობრულ გრძნობებს გერმანელი ხალხისადმი, რომლებიც ერთად იბრძვიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

(საკდესი).

დეპეშა

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ კიმ დუ ბონს

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ კიმ ირ სენს

ფხენიანი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით ძმურ სალამსა და მხურვალე მოლოცვას გითვლით თქვენ და გმირ კორეელ ხალხს კორეის განთავისუფლების მე-12 წლისთავის გამო.

საბჭოთა კავშირის ხალხები გულწრფელად უსურვებენ კორეელ ხალხს ახალ წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში, კორეაში მშვიდობის განმტკიცებისათვის და დემოკრატიულ საწყისებზე თქვენი სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

დაე განვითარდეს და განმტკიცდეს ჩვენი ხალხების ურღვევი მეგობრობა მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ბულგანინი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ხრუშჩოვი

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ამხანაგ ნამ ირს

ფხენიანი

მიიღეთ, ამხანაგო მინისტრო, ჩემი გულითადი მოლოცვა კორეის განთავისუფლების მე-12 წლისთავის გამო. ნება მიბოძეთ გისურვოთ ჯანმრთელობა და ახალი წარმატებანი თქვენს მოღვაწეობაში ჩვენს ქვეყნებს შორის ძმური მეგობრობისა და მჭიდრო თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. გრომიკო

შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა ქარხანა „კაუჩუკს“

13 აგვისტოს მოსკოვის ქარხანა „კაუჩუკში“ მივიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, რათა შრომის წითელი დროშის ორდენი გადაეცა საწარმოსათვის. მთავრობის ეს მაღალი ჯილდო ქარხანას მიენიჭა იმ წარმატებებისათვის, რომლებიც მოიპოვა მისმა კოლექტივმა მოქმედ ფართობებზე წარმოების გადიდებაში, შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ნედლეულის ეკონომიაში.

ქარხნის ორი ათასზე მეტი მუშა და მოსამსახურე შეიკრიბა მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა შრომის წითელი დროშის ორდენის გადაცემას საწარმოსათვის. შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის გამოჩენას ტრიბუნაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. პ. გიორგაძემ წაიკითხა ბრძანებულება მოსკოვის ქარხანა „კაუჩუკის“ დაჯილდოების შესახებ.

კ. ე. ვოროშილოვმა შეკრებილთა ერთსულოვან ტაშის გრიალში ქარხნის წარმომადგენლებს გადასცა შრომის წითელი დროშის ორდენი.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა კ. ე. ვოროშილოვმა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მან მხურვალედ მიულოცა ქარხნის კოლექტივს დამსახურებული ჯილდო.

(საკდესი).

ინდოეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების 10 წლისთავისადმი და 1857 წლის ეროვნული აჯანყების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა მოსკოვში

15 აგვისტოს შესრულდა ინდოეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების 10 წლისთავი და ინგლისელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ 1857 წლის ეროვნული აჯანყების ასი წლისთავი. ინდოელი ხალხის ცხოვრებაში ამ ორ ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა მოსკოვის საზოგადოებრივობის საზეიმო სხდომა, რომელიც 14 აგვისტოს გაიმართა პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში.

საზეიმო სხდომაში მონაწილეობა მიიღეს მშრომელთა წარმომადგენლებმა, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა, სტუდენტებმა, ინდოეთიდან ჩამოსულმა სტუმრებმა.

სხდომა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ნ. სოლოვიოვმა.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ბ. დ. კოვრიგინმა.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს სსრ კავშირში ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის კ. პ. შ. მენონის გამოსვლა. (საკდესი).

უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ

წითელწყაროს რაიონის ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის ვალდებულებანი

ჩვენი მეურნეობის მუშაკები თავდადებით იბრძვიან ხორცის, რძის, კარაქის, მატყლის წარმოების მკვეთრად გადიდებისათვის კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანის განსახორციელებლად. მეურნეობის კოლექტივი ჩაბმულია სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, გაჩაღებულია ბრძოლა მეცხოველეობის რენტაბელობისათვის. პირველი წარმატებები მოპოვებულია 1956 წელს. შარშან 1955 წელთან შედარებით ცხვრის სულადობა გაიზარდა 64 პროცენტით.

შესაბამის პერიოდში ორჯერ გადიდდა თვითეულ ცხვარზე მატყლის საერთო გამოსავლიანობა. საკვები ბაზის განმტკიცების შედეგად გასულ წელს საშუალოდ ერთი საფურაჟე ძროხის წველადობა გადიდდა 1.022 კილოგრამით. საკვები ბაზის დიდ რეზერვს წარმოადგენს სიმინდი. იგი დათესილია 200 ჰექტარზე მთლიანად ჰიბრიდული თესლით კვადრატულ-ბუდობრივად.

მიმდინარე წლის პირველი ნახევრის საწარმოო დავალებები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმები გადაჭარბებით არის შესრულებული. წელს 6 თვეში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით სახელმწიფოს ჩაბარდა 25 პროცენტით მეტი რძე, ორჯერ მეტი ხორცი (მათ შორის სამჯერ მეტი ღორის ხორცი), 5-ჯერ მეტი კვერცხი, ხოლო მიმდინარე წლის 7 თვეში საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე წველადობა გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით გაიზარდა 315 კილოგრამით.

ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ერთსულოვნად განიხილა და მოიწონა მუხროვანის მეძროვეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის მიმართვა ხორცის, რძის, კარაქის და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების მკვეთრად გადიდების შესახებ და, გადახედა რა თავის შესაძლებლობასა და რეზერვებს, დამატებით იკისრა ახალი ვალდებულებები:

მიმდინარე წელს ცხვრის სულადობა გაადიდოს 40 პროცენტით, საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღოს 2.500 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.050 კილოგრამისა. სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მისცეს 800 ცენტნერი რძე, 200 ცენტნერი ხორცი, 100 ათასი ცალი კვერცხი. შარშანდელთან შედარებით წელს სახელმწიფოს მისცეს 30 პროცენტით მეტი რძე, 37 პროცენტით მეტი ხორცი, 7 პროცენტით მეტი მატყლი, 5-ჯერ მეტი კვერცხი და სხვ.

ამ ვალდებულებათა უზრუნველსაყოფად დავაგროვებთ 65.000 ცენტნერ უხეშ საკვებს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 46.100 ცენტნერისა, დავამზადებთ 35.000 ცენტნერ კონცენტრირებულ საკვებს (გეგმა კი 23.750 ცენტნერს ითვალისწინებს), 16 ტონა სილოსს ერთ ძროხაზე. უკვე ჩადებული ერთ ძროხაზე 11 ტონაზე მეტი სილოსი.

1960 წლისათვის ცხვრის სულადობას ავიყვანთ 60.000-მდე, რაც ორჯერ მეტია 1956 წლის მაჩვენებელზე, მატყლის წარმოებას გავადიდებთ 2.000 ცენტნერით, ანუ 78 პროცენტით. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მივიღოთ 450 კილოგრამი მატყლი ნაცვლად 1956 წელს მიღებული 198 კილოგრამისა. 1957 წელს კი ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მატყლის წარმოებას ავიყვანთ 260 კილოგრამამდე. 1960 წლიდან ყოველწლიურად ვაწარმოებთ: 12.000 ცენტნერ ხორცს, ანუ 4-ჯერ მეტს, ვიდრე 1956 წელს, 9.000 ცენტნერ რძეს, ანუ 3,6-ჯერ მეტს, კვერცხის წარმოებას გავადიდებთ 5-ჯერ და უფრო მეტად.

მეურნეობის კოლექტივი კისრულობს ვალდებულებას ყოველწლიურად გაზარდოს და დადასცეს რესპუბლიკის კოლმეურნეობებს ნაზმატყლიან-დუმიანი ახალი ქართული ჯიშის ცხვარი.

კისრულობთ რა ამ ვალდებულებებს, ჩვენ ვგრძნობთ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც გვაკისრია პირობის განაღდებისათვის ბრძოლაში. ამიტომ დავრაზმავთ მთელ ჩვენს ძალებს, შემოქმედებითად გამოვიყენებთ ყველა შესაძლებლობას და მთლიანად შევასრულებთ ნაკისრ ვალდებულებებს, ახალი წარმატებებით შევხვდებით დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს.

ელდარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაკების დავალებით: პ. ბოლქვაძე — მეურნეობის დირექტორი; **ვ. კოდუა** — პარტბიუროს მდივანი; **ხ. თოფურია** — მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე; **ნ. ზიდიროვი** — კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი; **ი. მარგველაშვილი** — მთავარი ზოოტექნიკოსი; **ს. გოგოშვილი** — დირექტორის მოადგილე; **ა. ჯანჯღავა** — მთავარი აგრონომი; **გ. ხუჭუა** — მთავარი ვეტექიმი; **პ. სავჩენკო** — მთავარი მექანიკოს-მექანიზატორი; **ვ. ტიკინი** — მთავარი ბუხჰალტერი; **გ. ავალიშვილი**—მგეგმავი-ეკონომისტი; **მ. ჯაფელი** — უფროსი ინჟინერ-მშენებელი; **ვ. სომხიშვილი, ვ. ხუდატოვი, ა. აპოლინსკი** — ტრაქტორისტები; **რ. ჭიაურელი, ი. კობეცი, ი. ვერიოოკინი, პ. სკოჩკოვი** — კომბაინერები; **ი. ბაძოშვილი** — ზოოტექნიკოს-სელექციონერი; **ამიტ მამედ ოღლი, აბზარ მამედ ოღლი, გეიდარ აბდულ ოღლი** — მწყემსები; **ი. პაპუაშვილი, ხატუნ ველი ყზი** — მწველავები.

მოსკოვში დანიის კომპარტიის დელეგაციის ყოფნის შესახებ

მოსკოვში დანიის კომუნისტური პარტიის დელეგაციის ყოფნის დროს 7-13 აგვისტოს მიმდინარეობდა მისი შეხვედრები და საუბრები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებთან. შეხვედრების დროს განხილულ იქნა საკითხები, რომლებსაც საერთო ინტერესი აქვს, მოხდა ინფორმაციის გაცვლა ორივე პარტიის საქმიანობის შესახებ, აგრეთვე აზრთა გაცვლა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მთელ რიგ პრობლემებზე.

საკითხების განხილვა მიმდინარეობდა ამხანაგურ ატმოსფეროში, კომპარტიების ძმური სოლიდარობის სულისკვეთებით და გამსჭვალული იყო მათი საერთო მისწრაფებით იბრძოლონ მშვიდობისა და სოციალიზმისათვის, საბჭოთა ხალხსა და დანიელ ხალხს შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ა. წ. 14 აგვისტოს დანიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია კოპენჰაგენში გაემგზავრა. დანიის კომპარტიის დელეგაცია ვნუკოვოს აეროდრომზე გააცილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ო. ვ. კუსინენმა, საბჭოთა კავშირის

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

საქართველოს სსრ მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის განვითარება, კაპიტალური მშენებლობა, საქონელბრუნვის გაძლა, კულტურული მშენებლობა და ჯანმრთელობის დაცვა 1957 წლის პირველ ნახევარში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

მრეწველობა

I.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII სესიის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად 1957 წლის პირველი ნახევრის დამლევს მოხდა რესპუბლიკის მრეწველობის მართვის რეორგანიზაცია.

ამ გადაწყვეტილებათა საფუძველზე შეიქმნა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, რომელსაც გადაეცა ბევრი საწარმო, რომელთა საერთო პროდუქცია რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობაში 1 აგვისტოსათვის შეადგენდა 80 პროცენტზე მეტს.

საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა საქართველოს სსრ მთელმა მრეწველობამ შეასრულა 104 პროცენტით, სახალხო მეურნეობის საბჭოსათვის გადაცემულმა მრეწველობამ — 103 პროცენტით და ადგილობრივი საბჭოების მრეწველობამ — 104 პროცენტით.

საქართველოს სსრ მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1956 წლის პირველ ნახევართან შედარებით გადიდდა 7 პროცენტით.

1957 წლის პირველ ნახევარში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებმა გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 20 ლითონსაჭრელი ჩარხი, 27 ათასი ტონა ცემენტი, 837 ათასი მეტრი ბამბის ქსოვილები, 41 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილები, 131 ათასი წყვილი წინდა, 58 ათასი ცალი ტრიკოტაჟის საცვლები, 89 ათასი წყვილი ტყავის ფეხსაცმელი, ორ მილიონზე მეტი პირობითი ქილა კონსერვი, 156 ტონა კარაქი და მთელი რიგი სხვა ნაწარმი.

საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა ქალაქ თბილისის მრეწველობამ შეასრულა 103 პროცენტით, აფხაზეთის ასსრ მრეწველობამ — 105 პროცენტით, აჭარის ასსრ მრეწველობამ — 107 პროცენტით და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მრეწველობამ — 109 პროცენტით. ამავე დროს, ქალაქ თბილისის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მრეწველობამ თუმცა გადაჭარბებით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა, მაგრამ მთლიანად ვერ შეასრულა ზოგიერთი სახეობის ნაწარმის წარმოების გეგმა ნატურალური გამოხატულებით.

II.

საერთო პროდუქციის წარმოების ნახევარი წლის გეგმის შესრულება იმ ცალკეულ სამრეწველო საწარმოთა მიერ, რომლებიც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გადაეცა, ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1957 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი
ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა	107
ფეროშენადნობთა ქარხანა	86
ბათუმის ი. ბ. სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა	102
ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა	106
თბილისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა	100
ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა	102
თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა	102
ფოლად-თუჯ სამსხმელო ქარხანა	100,9
26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა	92
პლასტმასის ქარხანა	100
მანქანათმშენებელი ქარხანა „მაღაროელი“	103
კასპის ი. ბ. სტალინის სახელობის ცემენტის ქარხანა	108
რუსთავის ცემენტის ქარხანა	108
ლოკომოტივშემკეთებელი ქარხანა	110
ქუთაისის ლიტოპონის ქარხანა	102
კერამიკის კომბინატი	124
ენგურის ქაღალდ-ცელულოზის კომბინატი	101
ჭიათურის მარგანეცის ტრესტი	97
ტყიბულის ქვანახშირის ტრესტი	106
ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტი	108
ახალციხის ქვანახშირის მაღაროთსამმართველო	137
კვაისის მაღაროთსამმართველო	100
საქართველოს ჩაის ტრესტი	100
საქართველოს თამბაქოს ტრესტი	104
საქართველოს ხილეულისა და მინერალური წყლების ტრესტი	108
საქართველოს მცენარეული ცხიმისა და ზეთის ტრესტი	89
საქართველოს ეთერზეთოვანი კულტურების ტრესტი	270
საქპურტრესტი	101
საქკონსერვტრესტი	112
სამტრესტი	103
საქართველოს ხის ტარის ტრესტი	111
საქართველოს ხორცის ტრესტი	84
საქართველოს ყველ-კარაქის მრეწველობის ტრესტი	116
საქართველოს თევზის მრეწველობის ტრესტი	121

ზოგიერთმა საწარმომ და ტრესტმა, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა რა საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა, ვერ შეასრულა ცალკეულ სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმა ნატურალური გამოხატულებით. მაგალითად, ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულმა ქარხანამ ვერ შეასრულა თუჯის წარმოების გეგმა, ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელმა ქარხანამ — ზოგიერთ სახეობათა ლითონსაჭრელი ჩარხების, საქართველოს ჩაის ტრესტმა — ნატურალური ჩაის, საქართველოს ყველ-კარაქის მრეწველობის ტრესტმა — ყველის წარმოების გეგმა.

თუმცა მთლიანად საწარმოებში, რომლებიც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გადაეცა, და ყველა მის დარგობრივ სამმართველოში, გარდა ხორცისა და რძის და თევზის მრეწველობის სამმართველისა, საერთო პროდუქციის გამოშვების წლის პირველი ნახევრის გეგმა მთლიანად და გადაჭარბებით არის შესრულებული, მაგრამ ჯერ კიდევ საწარმოთა მნიშვნელოვანმა რაოდენობამ ვერ უზრუნველყო წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულება.

ადგილობრივი საბჭოების ცალკეულმა საწარმოებმა საერთო პროდუქციის ნახევარი წლის გეგმა შეასრულეს შემდეგნაირად: ბათუმის მომთუთიებელმა ქარხანამ — 108 პროცენტით, მ. ი. კალინინის სახელობის მექანიკურმა ქარხანამ — 110, თბილისის მექანიკურმა ქარხანამ — 120, თბილისის ლითონის ნაკეთობათა ქარხანამ — 71, თბილისის ლაქსაღებავების ნაწარმის ქარხანამ — 113, თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხანამ — 98, თბილისის კირ-პუცოლანის ცემენტის ქარხანამ — 98, ქუთაისის კირის ქარხანამ — 118, აფხაზეთის ღვინის კომბინატმა — 100,9, სოხუმის საკონდიტრო ფაბრიკამ — 105, აფხაზეთის პურკომბინატმა — 106, აჭარის პურკომბინატმა — 106, სტალინირის პურის ქარხანამ — 105 პროცენტით.

საერთო-საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების სამრეწველო საწარმოთაგან საერთო პროდუქციის წარმოების 1957 წლის პირველი ნახევრის გეგმა შეასრულეს: ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელმა ქარხანამ — 104 პროცენტით, ტრესტ ამიერკავკასიის მეტალურგმშენის საწარმოებმა — 113 პროცენტით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურის პროდუქტების მთავარი სამმართველოს საწარმოებმა — 105 პროცენტით.

საქართველოს სარეწაო საბჭოს ხაზით საერთო პროდუქციის გამოშვების წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულება შეადგენს 104 პროცენტს.

საერთო-საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური, რესპუბლიკური სამინისტროებისა და ადგილობრივი საბჭოების სამრეწველო საწარმოთაგან ჯერ კიდევ ბევრია ისეთი, რომლებმაც მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა, მაგრამ ვერ უზრუნველყვეს გეგმის შესრულება ცალკეულ სახეობათა პროდუქციისა და დაწესებული ასორტიმენტის მიხედვით.

III.

ძირითად სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოება ნატურალური გამოხატულებით ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1957 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი	1957 წლის პირველი ნახევარი პროცენტობით 1956 წლის პირველ ნახევართან შედარებით
მარგანეცის მადანი	99,7	93
ქვანახშირი	103	105
კოქსი	100,8	100,4
თუჯი	99,3	100,5
ფოლადი	100,9	112
ნაგლინი	107	109
მთლიანნაგლინი მილები	96	112
ელექტროენერგია	94	113
სატვირთო ავტომობილები	105	120
ექსკავატორები	105	126
ლითონსაჭრელი ჩარხები	99	76
ცემენტი	106	192
შიფერი	94	111
აგური (კოლმეურნეობათა წარმოების ჩაუთვლელად)	98	108
კრამიტი (კოლმეურნეობათა წარმოების ჩაუთვლელად)	99,8	94
ქაღალდი	103	102
ბამბის ქსოვილები	104	110
შალის ქსოვილები	95	98
აბრეშუმის ქსოვილები	101	100,6
წინდები	102	127
ტრიკოტაჟის საცვლები	91	100,6
ზედა ტრიკოტაჟი	116	127
ტყავის ფეხსაცმელი	102	110
პიანინოები და როიალები	100	106
მომინანქრებული ჭურჭელი	99	119
თევზის ჭერა	115	168
ხორცი (სამრეწველო გამომუშავება კოოპერაციული მრეწველობის საწარმოთა ჩაუთვლელად)	75	77
ძეხვეული	87	92
ერბო-კარაქი (კოლმეურნეობათა წარმოებისა და ოჯახში წარმოების ჩაუთვლელად)	131	124
მარგარინის პროდუქცია	87	91
ყველი (კოლმეურნეობათა წარმოების ჩაუთვლელად)	87	104
კონსერვები (სახალხო მეურნეობის საბჭოსათვის გადაცემულ საწარმოებში)	113	123
საკონდიტრო ნაწარმი	97	112
მაკარონის ნაწარმი	99	132
ჩაი — პირველადი დამუშავება	112	82
ჩაი — მზა დაფასოებული	97	100,1
კონიაკი	103	102
ყურძნის ღვინო	111	88
შამპანური	102	101
მინერალური წყლები	103	99
საპონი (სახალხო მეურნეობის საბჭოსათვის გადაცემულ საწარმოებში)	91	96

წლის პირველი ნახევრის გეგმას აგური დააკლეს ადგილობრივი საბჭოების საწარმოებმა 1,9 მილიონი ცალი, სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოებმა — 85 ათასი ცალი, საქართველოს სარეწაო საბჭოს საწარმოებმა — 59 ათასი ცალი და კრამიტი — 32 ათასი ცალი.

ქარხანა „ჩარხში“ დაყოვნდა 3.110-მ მოდელის ჩარხის წარმოების ათვისება, ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში მეორე წელიწადია ყოვნდება ახალი მოდელის სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხის „163“-ის წარმოების ათვისება: გეგმით გათვალისწინებული 419 ცალის ნაცვლად გამოშვებულია მხოლოდ 27 ცალი.

ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში 1957 წლის პირველ ნახევარში დაშვებულია რამდენადმე შემცირება ბრძმედების მარგი მოცულობის გამოყენების კოეფიციენტისა, რომელიც გეგმით გათვალისწინებული 0,802-ის ნაცვლად შეადგენს 0,815-ს. გაუმჯობესებულია მარტენის ღუმელების ქვედის ფართობის ერთ კვადრატულ მეტრზე ფოლადის მიღების მაჩვენებელი, რომელიც გეგმით გათვალისწინებული 6,26 ტონის ნაცვლად შეადგენს 6.39 ტონას დღე-ღამეში და, ამრიგად, გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელი გადამეტებულია 0,09 ტონით დღეღამეში. მთლიანად არ არის შესრულებული საგლინავი დგანების გამოყენების საგეგმო მაჩვენებლები.

IV.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსათვის გადაცემულ საწარმოებში მუშათა შრომის ნაყოფიერება 3 პროცენტით გადიდდა 1956 წლის პირველ ნახევართან შედარებით. მაგრამ სასურსათო საქონლის მრეწველობის, ხორცის, რძისა და თევზის მრეწველობის სამმართველოებში შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა მთლიანად არ შესრულებულა.

სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების გეგმა რესპუბლიკის სახელმწიფო მრეწველობამ 1957 წლის I ნახევარში შეასრულა. ზეგეგმითმა ეკონომიამ მარტო სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში წლის პირველ ნახევარში 32 მილიონ მანეთზე მეტი შეადგინა.

სოფლის მეურნეობა

მარცვლეული და პარკოსანი კულტურების ნათესი ფართობები 1957 წელს 1956 წელთან შედარებით გადიდდა. ხორბლის ნათესი ფართობი გადიდდა 13 ათასი ჰექტარით. სიმინდი წინა წელზე მეტი დათესა. რამდენადმე გადიდდა მზესუმზირას და ბოსტნეულის ფართობები.

მიმდინარე წელს კოლმეურნეობებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, წარმატებით ჩაატარეს საგაზაფხულო თესვა და გადაჭარბებით შეასრულეს საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა. შესრულდა აგრეთვე თამბაქოს დარგვისა და შაქრის ჭარხლის თესვის გეგმა. კვადრატულ-ბუდობრივი წესით დათესა სიმინდის 12 პროცენტი და მზესუმზირას 48 პროცენტი. გასული წლის პირველ ნახევრისაზე მეტია შეტანილი ორგანული სასუქები სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესებში.

კოლმეურნეობებში არ შესრულებულა ანეულის ხვნის გეგმა.

სათოხნი კულტურების მოსავლის აღებისა და დამუშავების ტემპები წინა წლისაზე უფრო მაღალია. 1957 წლის 1 აგვისტოსათვის აღებულია 68 ათასი ჰექტარით მეტი მარცვლეული, 24 მილიონი ზონარმეტრით მეტი თამბაქო, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. რამდენადმე ჩამორჩება წინა წლის დონეს თიბვის ტემპები კოლმეურნეობებში.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებში გაშენდა მეტი ბაღები და ვენახები, ვიდრე წინა წელს.

1957 წლის პირველ ნახევარში მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა ხვნაზე გადაყვანით მეტი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები შეასრულეს, ვიდრე 1956 წლის I ნახევარში.

საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შემდეგნაირად შეიცვალა:

	საზოგადოებრივი პირუტყვის რაოდენობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1957 წლის 1 ივლისისათვის	
	ათასობით სული	პროცენტობით 1956 წლის 1 ივლისის მიმართ
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	649,5	101
ღორი	163,7	107
ცხვარი და თხა	1656,9	106

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1957 წლის 1 ივლისისათვის 1956 წლის 1 ივლისთან შედარებით გადიდდა 4,6 ათასი სულით, ღორისა — 11 ათასი სულით, ცხვრისა და თხისა — 95,1 ათასი სულით.

1 ივლისისათვის კოლმეურნეობებში გასასუქებლად ჰყავდათ 21 ათასი სული ღორი, 61 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის იმავე თარიღისათვის.

რძის წარმოება კოლმეურნეობებში 1957 წლის პირველ ნახევარში გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით გადიდდა 17 პროცენტით, ხოლო 1953 წლის პირველ ნახევართან შედარებით — 2,6-ჯერ.

ხორცის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა 1957 წლის პირველ ნახევარში შესრულებულია 105 პროცენტით, მატყლისა — 108 პროცენტით.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დამზადებულია 8 ათასი ტონით მეტი რძე, ვიდრე გასული წლის იმავე პერიოდში.

შარშანდელზე მეტი დამზადდა აგრეთვე მარცვლეული, ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, დაფნის ფოთოლი, ხილი, ბოსტნეული, კვერცხი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

კერძოდ, 1957 წლის 1 აგვისტოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი დამზადებულია 4,6 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გასული წლის იმავე თარიღისათვის, დაფნის ფოთოლი — 0,5 ათასი ტონით მეტი, ხილი — 3,1 ათასი ტონით მეტი, ბოსტნეული — 0,8 ათასი ტონით მეტი, მარცვლეული — 1,3 ათასი ტონით მეტი და სხვ.

კოლმეურნეობებში გრძელდებოდა მეცხოველეობის სადგომებისა და სილოსის ნაგებობათა მშენებლობა.

კომუნისტური პარტიის მიერ დასახულ ისტორიული მნიშვნელობის ამოცანას — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე რძის, კარაქისა და ხორცის წარმოების მხრივ — მხურვალედ დაუჭირეს მხარი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა.

კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები ყველგან ეწევიან წინათ მიღებულ ვალდებულებათა გადასინჯვას და პოულობენ ახალ რეზერვებს მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის.

კაპიტალური მშენებლობა

1957 წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა მოცულობამ რესპუბლიკაში 900 მილიონ მანეთზე მეტი შეადგინა. კაპიტალური დაბანდებანი ხორციელდებოდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. დიდი სამუშაოები სრულდებოდა საბინაო, კომუნალურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში.

საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა მოცულობა 1956 წლის პირველ ნახევართან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა.

საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის ნახევარი წლის გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია 94 პროცენტით.

მოხდა რესპუბლიკის მთელი რიგი სამშენებლო ორგანიზაციების გაერთიანება და გამსხვილება. შეიქმნა საქართველოს სსრ მშენებლობის რესპუბლიკური სამინისტრო, რომლის შემადგენლობაშიც შევიდა ყოფილი საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა, აგრეთვე ტრესტები ამიერკავკასიის მეტალურგმშენი, „საქსურსათმშენმონტაჟი“ და მთელი რიგი სხვა სამშენებლო ორგანიზაციები.

შეიქმნა მძლავრი მოიჯარე მშენებელი ორგანიზაცია — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის „მთავართბილისმშენი“, რომელიც ეწევა სამოქალაქო და საბინაო მშენებლობას ქალაქ თბილისში.

1957 წლის პირველ ნახევარში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად გადიდდა საბავშვო ბაღების, საბავშვო ბაგების, საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების მშენებლობაში კაპიტალდაბანდებათა მოცულობა.

ტრანსპორტი

ამიერკავკასიის რკინიგზამ (საქართველოს სსრ ტერიტორიაზე) ყველა ტვირთის საშუალო სადღეღამისო დატვირთვის 1957 წლის პირველი ნახევრის გეგმა 111 პროცენტით შეასრულა, აქედან: ქვანახშირის დატვირთვისა — 116 პროცენტით, მარგანეცის მადნისა — 104 პროცენტით, მინერალურ-სამშენებლო ტვირთებისა — 116 პროცენტით, შავი ლითონებისა, პურეულის ტვირთებისა, ნავთობისა და ნავთობპროდუქტებისა — 111 პროცენტით. მთლიანად არ არის შესრულებული ქსოვილების დატვირთვის გეგმა. 1956 წლის პირველ ნახევართან შედარებით საშუალო სადღეღამისო დატვირთვა გადიდდა 3 პროცენტით, საშუალო სადღეღამისო გადმოტვირთვა — 11 პროცენტით.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტმა წლის პირველ ნახევარში ტვირთზიდვის გეგმა ტონობით შეასრულა 97 პროცენტით, ტონა-კილომეტრობით — 100,5 პროცენტით. ტვირთბრუნვა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 15 პროცენტით გადიდდა. ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანის გეგმა შესრულებულია 109 პროცენტით. მგზავრთა გადაყვანა 1956 წლის პირველ ნახევართან შედარებით 12 პროცენტით გაიზარდა.

საქონელბრუნვა

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობამ 1957 წლის პირველ ნახევარში შეადგინა 4.666 მილიონი მანეთი, გადააჭარბა რა 1956 წლის პირველი ნახევრის დონეს შესადარ ფასებში 629 მილიონი მანეთით, ანუ 16 პროცენტით. სამომხმარებლო კოოპერაციამ, რომელიც ახორციელებს ვაჭრობას სოფლად, 1957 წლის პირველ ნახევარში გაყიდა 18 პროცენტით მეტი საქონელი, ვიდრე 1956 წლის პირველ ნახევარში.

1957 წლის პირველი ნახევრის საცალო საქონელბრუნვის გეგმა საქართველოს სსრ სავაჭრო ორგანიზაციებმა შეასრულეს 109 პროცენტით, აქედან საცალო სავაჭრო ქსელის საქონელბრუნვის გეგმა — 111 პროცენტით, საზოგადოებრივი კვების ბრუნვის გეგმა — 104 პროცენტით. ვაჭრობის სამინისტროს ორგანიზაციებმა საცალო საქონელბრუნვის გეგმა 107 პროცენტით შეასრულეს. სამომხმარებლო კოოპერაციამ საცალო საქონელბრუნვის გეგმა შეასრულა 114 პროცენტით.

1957 წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში 1956 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდდა ხორცისა და ფრინველის, ძეხვეულის, ერბო-კარაქის, რძის, შაქრის, შალის ქსოვილების, აბრეშუმის ქსოვილების, ტანსაცმლისა და თეთრეულის, ტრიკოტაჟის ნაწარმის, ტყავის ფეხსაცმლის, ავეჯის, საოჯახო მაცივრების, სარეცხი მანქანების გაყიდვა. მიუხედავად იმისა, რომ საგრძნობლად გადიდდა სახალხო მოხმარების უმნიშვნელოვანესი საქონლის გაყიდვა, მოსახლეობის მოთხოვნილება ამ საქონელზე მთლიანად ვერ კმაყოფილდებოდა. ზოგიერთ სავაჭრო ორგანიზაციას აქვს ზენორმატიული ნაშთები იმის შედეგად, რომ ცალკეულ რაიონებში საქონელი შეჰქონდათ მოსახლეობის მოთხოვნილების გაუთვალისწინებლად.

1957 წლის პირველ ნახევარში კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა გაადიდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვა საკომისიო ვაჭრობის წესით. სამომხმარებლო კოოპერაციის საკომისიო ვაჭრობის საქონელბრუნვის მოცულობა 1957 წლის პირველ ნახევარში 1956 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 22 პროცენტით გადიდდა.

• კულტურული მშენებლობა და ჯანმრთელობის დაცვა

1957 წელს საშუალო სკოლები, მათ შორის მუშათა, სოფლის ახალგაზრდობის სკოლები და მოზრდილთა სკოლები, დაამთავრა 36 ათასამდე კაცმა.

უმაღლესი სასწავლებლები და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, მათ შორის დაუსწრებელი სასწავლებლები, სახალხო მეურნეობისათვის გამოუშვებენ 17 ათასზე მეტ ახალგაზრდა სპეციალისტს, რაც 11 პროცენტით აღემატება გასული წლის დონეს.

ფართოვდება კულტურის სამინისტროს კინოდანადგართა ქსელი. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სახელმწიფო კინოთეატრებში იყო 17 მილიონზე მეტი კაცი, ანუ 1,8 მილიონით მეტი, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარში.

1957 წლის პირველ ნახევარში გრძელდებოდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესება. გადიდდა საწოლების რაოდენობა საავადმყოფოებში, სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, ადგილები მუდმივ საბავშვო ბაგებში.

• • •

სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები მოწმობენ ახალ წარმატებებს, რომლებიც საქართველოს მშრომელებმა მოიპოვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაციის ღონისძიებათა წარმატებით განხორციელების შედეგად ეს წარმატებანი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება.

კარავი რაზლივში

ამ დღეებში ბევრ ხალხს ნახავთ ლენინგრადის მახლობლად რაზლივის ტბის ჯიბირის გაყოლებით მიმავალ გზაზე. ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან აქ ჩამოდიან ექსკურსანტები — პიონერები, კომკავშირელები, მუშები, კოლმეურნეები, რომლებსაც სურთ აუცილებლად ნახონ ლენინის ცნობილი კარავი.

ეს გზა 1917 წლის ივლისში არ იყო. მაშინ ეს ადგილი ტბის დაშორებით მდებარე მდელო იყო, რომელსაც სამი მხრიდან სამიმდოდ იცავდა გაუვალი ჭაობი, ხოლო მეოთხე მხრიდან — ტბის მოლივლივე წყალი. აქ უბრალო კარავში კონტრრევოლუციურ დროებით მთავრობას ემალებოდა დიდი ლენინი.

1917 წლის 11 (24) ივლისს გვიან საღამოს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ი. ბ. სტალინის და ს. ი. ალილუევის თანხლებით მივიდა პეტროგრადის ზღვისპირა ვაგზალში და უკანასკნელი მატარებლით გაემგზავრა სადგურ რაზლივში, სადაც დაიმალა ფარდულში სესტრორეცკის იარაღის ქარხნის მუშის ნ. ა. ემელიანოვის სახლის მახლობლად.

რამდენიმე დღის შემდეგ ნ. ა. ემელიანოვმა ვლადიმერ ილიას-ძე ნავით გადაიყვანა რაზლივის ტბის მიყრუებულ ჭაობიან ნაპირზე. იქ თივის ზვინზე მიდგმულ კარავში ვ. ი. ლენინმა თითქმის თვენახევარი დაჰყო.

აქედან, იატაკქვეშეთიდან, ვლადიმერ ილიას-ძე ხელმძღვანელობდა რევოლუციურ ბრძოლას. რაზლივში იგი ორჯერ შეხვდა იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს. კარავში ლენინმა დაწერა მთელი რიგი სტატიები, რომლებიც განსაზღვრავდნენ ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკას ივლისის დღეების შემდეგ.

ვ. ი. ლენინი ამ კარვიდან ხელმძღვანელობდა და წარმართავდა პარტიის VI ყრილობის მუშაობას, რომელიც შეიკრიბა 8 აგვისტოს (ძველი სტილით 26 ივლისს) პეტროგრადში და მუშაობას განაგრძობდა 16 (3) აგვისტომდე. ყრილობა მიმდინარეობდა ნახევრად არალეგალურად. ლენინი, რომელიც ყრილობას არ ესწრებოდა, არჩეულ იქნა მის საპატიო თავმჯდომარედ. ლენინმა უშუალოდ შეიმუშავა ყრილობის ძირითადი საკითხების თეზისები. მისი სახელმძღვანელო მითითებები საფუძვლად ედო ყრილობის მთელ მუშაობას. VI ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა გადამწყვეტი როლი შეასრულა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების საქმეში.

იქ, სადაც ოდესღაც კარავი იდგა, ახლა აღმართულია გრანიტის ძეგლი. ვარდისფერ გრანიტზე ამოკვეთილია წარწერა: „იმ ადგილას, სადაც 1917 წლის ივლისსა და აგვისტოში ტოტებისაგან გაკეთებულ კარავში ბურჟუაზიის მხრივ დევნას ემალებოდა მსოფლიო ოქტომბრის ბელადი და წერდა თავის წიგნს „სახელმწიფო და რევოლუცია“, ამის სამახსოვროდ დავდგით გრანიტის კარავი.

ლენინის ქალაქის მუშები. 1927 წელი“.

გრანიტის ძეგლის ახლოს დგას ნ. ა. ემელიანოვის მიერ გაკეთებული კარავი. ეს მაკეტი ლენინის კარვის ზუსტი პირია.

„სიტყვა არ გვყოფნის, რომ გამოვხატოთ ის, რაც აქ განვიცადეთ“, — წერენ მრავალრიცხოვანი ექსკურსანტები შთაბეჭდილებათა წიგნში.

აი ჩანაწერი, რომელიც დაუტოვებიათ სესტრორეცკელ მუშებს: „ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა, როგორ უნდა მუშაობდეს ნამდვილი ადამიანი უაღრესად რთულ ისტორიულ პირობებში“.

ბევრი მნახველია რაზლივის მეორე ისტორიულ ადგილასაც—ფარდულში ნ. ა. ემელიანოვის სახლის ახლოს, მე-5 პარხოვსკის ქუჩაზე № 2. ფარდულის სხვენზე სავსებით აღდგენილია იმდროინდელი მოწყობილობა, როდესაც ეს ადგილი ვ. ი. ლენინის თავშესაფარს წარმოადგენდა.

ვ. ზემნიცკი,
„კომუნისტის“ კორესპონდენტი.

* * *

სურათზე: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტურისტთა ჯგუფი ლენინის კარავთან რაზლივში. ფოტო ავტორისა.

საკოლმეურნეო აგურკრამიჩის ქარხნები

ხაშური. (საკ. კორ.). სოფელ გომის კოლმეურნეობაში დაიწყეს წითელი აგურის დამზადება. წელს კოლმეურნეობას გათვალისწინებული აქვს გამოუშვას 200 ათასი წითელი აგური, რაც მოხმარდება საკოლმეურნეო მშენებლობას და კოლმეურნეთა საჭიროებას.

სოფელ წაღვლის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში ააგეს მრგვალი კრამიტის დამამზადებელი ქარხანა, რომელიც წელს გამოუშვებს 30.000 ცალ გამომწვარ კრამიტს. კრამიტისათვის თიხის მოპოვება ადგილობრივ წარმოებს.

მექანიზებული პურსაცხობი

ცხაკაია. (საკ. კორ.). მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა ძველი, პრიმიტიული პურსაცხობი, რის გამო მოხდა მისი გაფართოება - რეკონსტრუქცია, დაიდგა მექანიზმები, რომლებმაც შეამსუბუქეს მუშების შრომა. პურსაცხობი ამჟამად 7-8 ტონა გამომცხვარ პურს უშვებს. მისი სრული სიმძლავრე იქნება 23-24 ტონა დღეღამეში.

ფართოვდება ინდივიდუალური ბინათმშენებლობა

საჩხერე. (საკ. კორ.). რაიონის ცენტრში სულ უფრო ფართოვდება ინდივიდუალური ბინათმშენებლობა. რაიაღმასკომის დადგენილებით მარტო დაბაში სამოსახლოდ გამოყოფილია 12 ჰექტარი. წელს 85 მუშა-მოსამსახურეს სამოსახლოდ უკვე მიეცა 6 ჰექტარი.

ინდივიდუალურ ბინათმშენებლებზე წელს გაცემულია გრძელვადიანი სესხი 131.300 მანეთის რაოდენობით. ბევრმა უკვე აიშენა ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ის, რაც ხელს გვიშლის საკოლმეურნეო მშენებლობაში“

„კომუნისტის“ 13 ივლისის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა თელავის რაიონის სოფელ კონდოლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ა. კოკილაშვილის წერილი, რომელშიც მხილებული იყო „საქკოოპსამშენებლობის“ თელავის ხე-ტყის საწყობის ხაკლოვანებანი კოლმეურნეობების ხე-ტყით და სხვა საშენი მასალებით მომარაგების საქმეში.

წერილთან დაკავშირებით ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვ. კალანდაძე რედაქციას ატყობინებს, რომ მიღებულია ზომები თელავის რაიონში 1957 წლისათვის დაგეგმილი საშენი მასალების შეზიდვის უზრუნველსაყოფად. „საქკოოპსამშენებლობის“ თელავის ხე-ტყის საწყობს მიეცა მითითება, რომ კოლმეურნეობებს ხე-ტყე მიჰყიდოს იმ სახით, როგორითაც იგი მიღებულია საწყობში, და არ დაუშვას ხე-ტყის დახერხვა, ვიდრე კოლმეურნეობათა დაკვეთა არ ექნება.

პროფჯგუფორგანიზატორები—საოქტომბრო შეჯიბრების სათავეში

საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკურმა საბჭომ ამას წინათ შეაჯამოწმა მრეწველობის ცალკე საწარმოებში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა. აღინიშნა, რომ საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებამ საერთო შრომითი აღმავლობა, შეჯიბრებაში ჩაბმული ყველა საწარმოო კოლექტივის მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესება გამოიწვია.

საოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ გამართულად, რიტმულად იწყეს მუშაობა იმ საწარმოებმაც კი, რომლებიც წინათ ჩამორჩებოდნენ. მაგალითად, საყოველთაოდ იყო ცნობილი, რომ საწარმოო გეგმების შესრულებაში ჩამორჩებოდნენ თბილისის კერამიკული კომბინატი, ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა, ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანა და სხვ. ახლა ეს საწარმოები მოწინავეთა წყებაში არიან.

ქუთაისელმა ავტომობილმშენებლებმა, რომელთა მისამართით წინათ ბევრი საყვედური გაისმოდა, არათუ წარმატებით შეასრულეს განვლილი თვეების გეგმა, არამედ ამასთან ვადამდე გაანაღდეს საოქტომბროდ ნაკისრი მთელი რიგი ვალდებულებები. მარტო წლის პირველ ნახევარში მათ შეძლეს გეგმის გადამეტებით მრავალი ავტომანქანის გამოშვება. მათ შეძლეს აგრეთვე ახალი მარკის თვითსაცლელი ავტომანქანის სერიული გამოშვების დაწყება.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებამ ადამიანები, ჩვენი მრეწველობის მუშაკები აღაფრთოვანა ახალი მიღწევებისათვის ბრძოლაში. მასების ამ სულისკვეთებით ხასიათდებოდა მთელი განვლილი თვეების მანძილზე შეჯიბრების ინიციატორების — რუსთავის მეტალურგების მუშაობა. მეკოქსეებმა, მეფოლადეებმა, მგლინავებმა ურთიერთშორის შეჯიბრებაში შესანიშნავ შედეგებს მიაღწიეს. მაგალითად, მეკოქსეებმა წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვანი რაოდენობით მოგვცეს პროდუქცია გეგმის გადამეტებით და ამასთან პროდუქციის თვითღირებულება ნაკისრ ვალდებულებაზე მეტად 2,2 პროცენტით შეამცირეს.

საგლინავი საამქროს კომკავშირულმა ცვლამ, რომელსაც ნ. ჭანტურიძე ხელმძღვანელობს, ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში პირველი ადგილი დაიკავა. ასევე წარმატებით მუშაობენ სახელოვანი კომკავშირელი მგლინავები ახლაც. პირველობისათვის ბრძოლაში დაწინაურდა აგრეთვე დგან 900-ის ოსტატი გ. რუხაძე, რომელმაც მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებით „სსრ კავშირის საგლინავ საამქროთა საუკეთესო ოსტატის“ სახელი დაიმსახურა. ბევრად გააუმჯობესა მუშაობა გორის ბამბის ქსოვილების კომბინატის კოლექტივმა.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ შესანიშნავი წარმატებები აქვთ იმ საწარმოებში, სადაც შეჯიბრების საქმეს სათავეში უნარიანად ჩაუდგნენ პროფკავშირული ორგანიზაციები, მათი ძირეული აქტივისტები — პროფჯგუფორგანიზატორები და სადაც კოლექტიური სოციალისტური ვალდებულებები ცალკე მუშაკთა მიერ ნაკისრ ინდივიდუალურ ვალდებულებათა საფუძველზეა შედგენილი. აღმოჩნდნენ ისეთი საწარმოებიც, სადაც ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად სათანადო ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებები არ დაუმუშავებიათ, ხოლო თუ დაამუშავეს, არ განუხორციელებიათ. მაგალითად, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა საოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაბმისას იკისრა წლიური საწარმოო გეგმის ვადამდე შესრულება და გეგმის გადამეტებით 150.000 მანეთის ... [illegible]



თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის გოგორწყვილების საამქროში საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ხარატი დ. გაბარაევი. იგი ყოველდღიურ დავალებებს 250 პროცენტით ასრულებს და საუკეთესო ხარისხის პროდუქციას იძლევა. სურათზე: დ. გაბარაევი ჩარხავს ვაგონის გოგორწყვილებს.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

... [illegible]

განვლილი შვიდი თვის მაჩვენებლები ცხადყოფენ, რომ ქარხნის კოლექტივი ამ ვალდებულებას ვერ ასრულებს. ასევე ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი.

იმ საწარმოებში, სადაც მუშებმა ვერ ჰპოვეს ადგილობრივი სამეურნეო ხელმძღვანელების, აგრეთვე საწარმოთა პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მხარდაჭერა, ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის შეჯიბრებაში ჩაბმულთა ენთუზიაზმს შენელების ნიშნები დაეტყო, თავი იჩინა ინდივიდუალურ ვალდებულებათა აღებისათვის თავის არიდებამ. ასე მოხდა, მაგალითად, თბილისის პლასტმასის ქარხანაში, მთავართბილმშენის მთელ რიგ ობიექტებზე. ეს იმან გამოიწვია, რომ შეჯიბრებას უნარიანად ვერ ჩაუდგნენ სათავეში პროფჯგუფორგანიზატორები, რომლებმაც ვერ შეძლეს საეურნეო ხელმძღვანელების ჩაბმა მუშებისათვის სათანადო პირობების შექმნისათვის ბრძოლაში.

მაგრამ ამასთან გვაქვს იმის მრავალი მაგალითი, რომ სადაც პროფჯგუფორგანიზატორები მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ, სადაც მათ ეხმარებიან ადგილობრივი პარტიული და პროფკავშირული მუშაკები, იქ საეურნეო ხელმძღვანელებიც მეტ დაინტერესებას იჩენენ, შეჯიბრებაც ცოცხლად, კარგად მიმდინარეობს. ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის საქსოვ საამქროში პროფჯგუფორგანიზატორად მუშაობს ნადეჟდა რობაქიძე, რომელიც ამასთან წარმოების მოწინავე ადამიანია, გამომუშავების ნორმებს სისტემატურად 120-140 პროცენტით ასრულებს. მის ჯგუფში საოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაბმის დროისათვის ბევრი ისეთი მუშა იყო, რომლებიც ვერ ახერხებდნენ გამომუშავების ნორმების შესრულებას. პროფორგანიზატორმა ამ მუშებს მხარდაჭერა და დახმარება აღუთქვა, მოუწოდა ჩაბმულიყვნენ ინდივიდუალურ შეჯიბრებაში. ჯგუფის წევრი ფეიქრები ჩაებნენ შეჯიბრებაში, იკისრეს გადიდებული პირადი ვალდებულებები. ნ. რობაქიძე დაუყოვნებლივ შეუდგა თავისი დაპირების შესრულებას. პროფჯგუფის 13 წევრს შეასწავლა მუშაობის გაუმჯობესებული მეთოდები, და ახლა ყველანი გეგმის გადაჭარბებით იძლევიან პროდუქციას, წარმატებით ასრულებენ პირად სოციალისტურ ვალდებულებებს.

ასევე კარგად მოაწყეს მუშაობა ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის სამოტორე საამქროს პროფჯგუფორგანიზატორმა გ. ჯავახაძემ, თბილისის ელექტრომავალმშენებელი ქარხნის ამწყობმა ზეინკალმა პროფჯგუფორგანიზატორმა ვ. პაპიაშვილმა და სხვ.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრი ყველა ვალდებულება აუცილებლად უნდა შესრულდეს. ეს ყველა საწარმოო კოლექტივის ღირსების საქმეა.

საწარმოთა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ადგილობრივ სამეურნეო და პარტიულ ორგანიზაციებთან შეწყობილი მუშაობით უნდა მიაღწიონ თავიანთი მუშაობის გარდაქმნას სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობაში. მთავარი ფიგურა, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს შეჯიბრებას, არის პროფჯგუფორგანიზატორი. მაგრამ პროფჯგუფორგანიზატორებს სჭირდებათ ყოველდღიური დახმარება და მხარდაჭერა. ამ მხრივ საწარმოთა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მეტი ფხა და უნარი უნდა გამოიჩინონ, აამაღლონ პროფორგანიზატორების როლი, ხელი შეუწყონ მათ ყოველდღიურ მუშაობაში.

ს. ბახტაძე,
საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საწარმოო-მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე.

ელექტრომავალი უღელტეხილზე

ტანმორჩილი, ხმელხმელი კაცი, თითქოს სამუშაოზე აგვიანდებაო, ყოველ დილით ჩქარი ნაბიჯით მიუყვება საელმავლო დეპოსაკენ მიმავალ ბილიკს. სიარულის ღროს ზოგჯერ ჯოხს იშველიებს, მაგრამ მიუახლოვდება თუ არა ლიანდაგების ქსელს, ჯოხი აღარ სჭირდება, ჯაბუკური სიმარჯვით გადადის მეორე მხარეს. ერთი შეხედვითაც შეატყობს კაცი, რომ ამ მიდამოში იგი უცხო არ არის. როგორც კი დეპოს საამქროებს, ლიანდაგებზე ჩამწკრივებულ ელმავლებს მიუახლოვდება, ყოველი მხრიდან შემოესმის შეძახილები:

— გამარჯობა, ძია პეტრე!

— დილა მშვიდობისა, ძია პეტრე!

ყველა იცნობს ზესტაფონში პეტრე ფარცხალაძეს. იცნობენ მას არა მარტო ზესტაფონში, არამედ მთელ ამიერკავკასიის რკინიგზაზე. ყველას, ვინც ოდნავ მაინც დაინტერესებულა ჩვენი ქვეყნის რკინიგზის ტრანსპორტის ისტორიით, უთუოდ გაეგონება იმ ადამიანის სახელი, ვინც სურამის უღელტეხილზე საბჭოთა კავშირში პირველად გადაატარა ელექტრომავალი და ამით ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა ჩვენი ქვეყნის რკინიგზის ტრანსპორტის რეკონსტრუქციის გეგმის განხორციელებაში.

ძველ რკინიგზელებს ახსოვთ, რაოდენ ძნელ უბანს წარმოადგენდა სურამის უღელტეხილი ამ მეოთხედი საუკუნის წინათ. ლიხი, წიფა, მოლითი — ამ სადგურთა გახსენება ბევრ მათგანში ახლაც უსიამოვნო გრძნობას იწვევს. რკინის ნერვები უნდა ჰქონოდა მემანქანეს, რომელიც ამ უბანზე დაატარებდა მატარებლებს. თითქმის ნახევარი საათი მიათრევდა ხოლმე ოთხი ორთქლმავალი მატარებელს ხაშურიდან ლიხამდე. ჯოჯოხეთური ხმაურით მიიწევდა კვამლსა და ორთქლში გახვეული მატარებელი

სსრ კავშირში პირველი ელექტროფიცირებული უბნის 25 წლისთავი

წიფის გვირაბში. მემანქანეს სიფრთხილისკენ მოუწოდებდა გვირაბის დასასრულს გამოჩენილი მოკიაფე სინათლის შუქი, აქედან იწყებოდა ყველაზე რთული და საშიში გადასარბენი. თუ

პ. ფარცხალაძე.

* * *

აქამდე მატარებელი ძლივს მიიწევდა წინ, გვირაბიდან გასვლისას უცებ იცვლიდა ხასიათს, თავაწყვეტით მიქროდა წიფა-მოლითის დაქანებაზე. ორთქლმავლების მემანქანეთა ოდნავ შეუწყობელი მოქმედება, — და მატარებლის შეკავება თითქმის შეუძლებელი იქნებოდა. ეს იყო მატარებელთა ლიანდაგიდან გადაცდენის, ავარიების საერთოდ ცნობილი უბანი.

სურამის უღელტეხილის რთული პროფილი ზღუდავდა ამიერკავკასიის რკინიგზის გამტარუნარიანობას, აფერხებდა მის მუშაობას, ტვირთზიდვას. ამიტომ დადგა საკითხი სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის განხორციელების შესახებ.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი ამ დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ამოცანის შესრულება. ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის ლენინური გეგმის განხორციელებამ, მაშინ ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოში ჯერ ზაჰესის, ხოლო შემდეგ რიონჰესის ამუშავებამ შექმნა ენერგეტიკული ბაზა ამიერკავკასიის, საბჭოთა კავშირში ყველაზე რთული პროფილის რკინიგზის ელექტროფიკაციის განსახორციელებლად, მატარებლების ელექტროწევაზე გადასაყვანად. უკვე 1927 წელს დაიწყო ლიანდაგის განახლება, მოსახვევების გაფართოება, ლითონის ორმხრივი ანძების დამზადება.

მეტად რთული სამუშაო ჰქონდათ დავალებული პირველი ელექტროფიცირებული უბნის მშენებლებს. მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მაღალი ძაბვის საკონტაქტო ქსელის, ქვესადგურების და მრავალი სხვა ნაგებობის შენებისა და მონტაჟის გამოცდილება. მაგრამ მიუხედავად ამისა მშენებლებმა ბრწყინვალედ გაართვეს თავი ამ პასუხსაგებ დავალებას და 1932 წლის ზაფხულისათვის დაამთავრეს ძირითადი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

მშენებლობის პარალელურად დაიწყო ელმავლების მომავალი მემანქანეების მომზადებაც. ამ საქმის ერთ-ერთი პირველი ენთუზიასტი იყო ორთქმავლის ძველი მემანქანე პეტრე ფარცხალაძეც. მასთან ერთად ახალი საქმის შესწავლას მონდომებით შეუდგნენ მ. აბესაძე, ი. მოწონელიძე, ს. ნოზაძე, ა. საყვარელიძე და სხვები. ბეჯითად სწავლობდნენ ისინი ელმავლის რთულ, მაგრამ საინტერესო აღნაგობას. თეორიული კურსის გავლის შემდეგ პ. ფარცხალაძე ამხანაგებთან ერთად გაემგზავრა მოსკოვში, სადაც გარეუბნის ელექტროფიცირებულ გზაზე შეისწავლეს მოტორ-ვაგონთა სექციების მუშაობა, დაეუფლნენ მათ ტარებას.

და აი დადგა დღე, როცა ხაშურში მიიღეს პირველი ორი ამერიკული ელმავალი. ერთი მათგანი ჩაბარეს პ. ფარცხალაძეს, ხოლო მეორე მ. აბესაძეს. 1932 წლის აგვისტოს პირველი დღეებიდანვე დაიწყო ელმავლების საცდელი რეისები სურამის უღელტეხილზე. იმავე წლის 16 აგვისტოს ელექტროფიცირებულ უბანზე გაუშვეს პირველი მატარებელი, რომელსაც წინ ორთქმავლის ნაცვლად მიბმული ჰქონდა ელექტრომავალი. მატარებლის წაყვანა, როგორც ყველაზე გამოცდილს, პეტრე ფარცხალაძეს მიანდეს.

— არ დამავიწყდება ეს დღე, — ამბობს ახლა უკვე პენსიონერი მემანქანე, — მატარებლის გასვლის წინ ხაშურში, ახლად აგებულ საელმავლო დეპოს მახლობლად ხალხმრავალი მიტინგი მოეწყო. ჩვენს სიხარულს იზიარებდნენ თბილისიდან, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ხარკოვიდან და სხვა ადგილებიდან ჩამოსული სტუმრები. მიტინგის დამთავრების შემდეგ, სრულ ოთხ საათზე ჩვენი მატარებელი ზესტაფონისაკენ დაიძრა. ამ დროს ხაშურის მიდამოები ორთქმავლების გამაყრუებელმა კივილმა შესძრა. ისინი თავიანთ საყვირთა ხმით მიესალმებოდნენ ჩვენს მატარებელს და ქვეყანას აუწყებდნენ საბჭოთა რკინიგზების მუშაობაში ახალი ეპოქის დასაწყისს, ემშვიდობებოდნენ სურამის უღელტეხილს, სადაც მათ ამდენი წვალება გადახდათ.

პირველმა რეისმა ბრწყინვალედ ჩაიარა. ქარივით მიაქროლებდა ელექტრომავალი მატარებელს. მას უკან მიჰყვებოდა სამარქაფო ელმავალი, რომელსაც მ. აბესაძე მართავდა. მატარებელი ფარცხალაძის ელექტრომავალმა სრულიად შეუფერხებლად გადაატარა უღელტეხილზე და ზუსტად დანიშნულ დროს ჩაიყვანა ზესტაფონში.

ზეიმი იყო იმ დღეს სურამის უღელტეხილზე. რკინიგზელები, კოლმეურნეები, მუშები, მოსამსახურეები ყოველ სადგურზე დროშებით, სიმღერებითა და ყვავილებით ხვდებოდნენ მატარებელს. ამ დღიდან ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როდესაც ორთქმავლები ძლივს მიაგორებდნენ მატარებელს, მაზუთისა და ნახშირის ჭვარტლით ანაგვიანებდნენ რკინიგზის მახლობლად მდებარე სოფლებს, როდესაც ყოველი რეისი შიშით ავსებდა მემანქანეებისა და მგზავრების გულს.

მას შემდეგ 25 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ელექტროფიცირებულ იქნა ჩვენი რესპუბლიკის რკინიგზის თითქმის ყველა უბანი. ახლა მძლავრ ელექტრომავლებს ყველა მიმართულებით დაჰყავთ სახალხო დოვლათით სავსე მძიმე წონის მატარებლები.

დაბერდნენ და დაძველდნენ ამერიკული ელექტრომავლები. დიდი ხანია ისინი ჩვენი, სამამულო წარმოების უკეთესმა, უფრო მძლავრმა ელექტრომავლებმა შეცვალეს.

მალე მათს წყებაში ჩადგებიან თბილისური ელექტრომავლები. ეს კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება იქნება რკინიგზების ელექტროფიკაციის დიადი გეგმის განხორციელების საქმეში.

შ. ციხეკიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

პირველი უგამყიდველო მაღაზია ბათუმში

ბათუმი. (საკ. კორ.). ამ დღეებში სტალინის ქუჩაზე გაიხსნა პირველი უგამყიდველო მაღაზია. მაღაზიის ვიტრინებში პროდუქტები განლაგებულია სახეობათა მიხედვით. იწყება საბაკალიო ნაწარმით, შემდეგ მოსდევს გასტრონომიული, ხოლო შუა დარბაზში მოწყობილია საკონდიტრო ნაწარმის განყოფილება.

მაღაზიაში ფართო ასორტიმენტით არის წარმოდგენილი სხვადასხვა პროდუქტები. მალფუჭებადი პროდუქტები მოთავსებულია მაღაზიის ერთ კუთხეში მოწყობილ სპეციალური კონსტრუქციის სადახლო ლარ მაცივარში. მაცივრიდან იღებს მომმზარებელი ცივ კარაქს, მარგარინს, ყველს და სხვ. მაცივარში ჩაცივებულია აგრეთვე სხვადასხვა მარკის ღვინო.

მაღაზიას, გარდა ამისა, აქვს მძლავრი სამაცივრო-სასაწყობო მეურნეობა. პროდუქტების აწონა და შეფუთვა წარმოებს სპეციალურ საამქროებში. მაღაზიამ პირველ დღეს 25 ათასი მანეთის პროდუქტები გაყიდა.

ქალაქის ცენტრში გაიხსნა აგრეთვე ახალი კეთილმოწყობილი მაღაზია, რომელშიც არის ფართლეულის, საბაკალიო, საგალანტერეო და სხვა განყოფილებები.

კომუნიკე

ალბანეთ-ვიეტნამის მოლაპარაკების შესახებ

ტირანა, 14 აგვისტო. (საკდესი). გაზეთებში დაიბეჭდა კომუნიკე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ხო ში მინს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში ყოფნის შესახებ.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ ალბანეთში ყოფნის დროს პრეზიდენტ ხო ში მინს საუბრები ჰქონდა სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან ჰაჯი ლეშისთან, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან მეჰმედ შეხუსთან, ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელებთან. საუბრების მსვლელობაში ისინი შეეხნენ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის სხვადასხვა საკითხებს, აგრეთვე ორივე ქვეყანას შორის ურთიერთობის საკითხებს.

საუბრები მიმდინარეობდა უდიდესი გულითადობისა და სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში და გამსჭვალული იყო ურყევი გადწყვეტილების სულისკვეთებით — კვლავაც გაფართოონ და განამტკიცონ მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა ორივე ქვეყანას შორის.

კომუნიკეში შემდეგ აღნიშნულია, რომ ორივე ქვეყნის წარმომადგენლები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს იმას, რომ საჭიროა შენარჩუნებულ იქნას და შემდგომ განმტკიცდეს სოციალიზმის ბანაკის ქვეყნების ერთიანობა.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ერთადერთი სწორი პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება ყველა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებს, — ეს არის მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა, ყველა საერთაშორისო საკითხის — განიარაღებისა და სხვა საკითხების — მოლაპარაკების გზით გადაჭრის პოლიტიკა.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკა სავსებით უჭერს მხარს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მუდმივ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია განხორციელდეს ჟენევის შეთანხმებანი ვიეტნამის მშვიდობიანი გაერთიანების საკითხზე. იგი გადაჭრით გმობს იმპერიალისტური სახელმწიფოების, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფალთა ცდებს ხელი შეუშალონ ქვეყნის მშვიდობიანი გზით გაერთიანებას.

ორივე მხარე, ნათქვამია კომუნიკეში, კმაყოფილებით აღასტურებს, რომ ურთიერთობა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკასა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის წარმატებით ვითარდება. არსებობს ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ შემდგომ განვითარდეს ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა, რაც ხელს უწყობს ორივე ქვეყნის ხალხთა შემდგომ დაახლოებას, სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობისა და ერთიანობის განმტკიცებას.

აზომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის მესამე საერთაშორისო კონფერენცია

ტოკიო, 14 აგვისტო. (საკდესი). ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის საერთაშორისო კონფერენციაზე დღეს მუშაობას განაგრძობდნენ სექციები. სექციების სხდომებს საერთოდ ესწრებოდა 5 ათასზე მეტი იაპონელი და უცხოელი დელეგატი.

ატომური დაბომბვის მსხვერპლთათვის დახმარების გაწევის საკითხთა სექციამ მოისმინა ჰიროსიმას უნივერსიტეტის მოხსენება, რომელშიც აღნიშნულია, რომ გადიდდა იმ პირთა სიკვდილიანობის პროცენტი, რომელნიც ატომურ გამოსხივებაში მოხვდნენ. ამ სექციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მთელმა რიგმა უცხოელმა დელეგატებმა, მათ შორის ჩინეთის დელეგაციის წარმომადგენლებმა, რომელმაც ატომური დაბომბვის მსხვერპლთა დახმარების ფონდს გადასცა 7.500 ათასი იენი.

ატომგულის იარაღის აკრძალვისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკითხთა სექციის სხდომებზე გამოვიდნენ იაპონიის, საბჭოთა კავშირის, ჩინეთის, ინდოეთის, ცეილონისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. მათ მტკიცედ მოითხოვეს ლიკვიდირებულ იქნას სამხედრო ბაზები სხვის ტერიტორიაზე, რომლებიც ქმნიან დაძაბულ ვითარებას მათი განლაგების რაიონებში, და აღნიშნეს, რომ საჭიროა მშვიდობის მოძრაობის მოძრაობის გაერთიანება ატომგულის იარაღის აკრძალვისათვის მოძრაობასთან.

ახალი დოკუმენტი კონფერენციური პუჭრის შესახებ უნგრეთში

ბუდაპეშტი, 14 აგვისტო. (საკდესი). უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ვესპრემის საოლქო კომიტეტმა გამოაქვეყნა, „თეთრი წიგნი" კონტრრევოლუციონერთა მხეცობის შესახებ ვესპრემის ოლქში.

წიგნი შეიცავს მრავალ ფოტოსურათს და სხვა დოკუმენტებს.

უახლოეს ხანში გამოვა „თეთრი წიგნის" მეორე ნაწილი.

კორეის განთავისუფლების წლისთავისათვის ლი სინ მანმა შეეფიცა საგანგებო წესები

ფხენიანი, 14 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „ფხენიან სინმუნი" დღეს წერს, რომ იმასთან დაკავშირებით, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები დღესასწაულობენ კორეის განთავისუფლების მე-12 წლისთავს, სამხრეთ კორეის ხელისუფლებამ გამოაცხადეს, რომ სამხრეთ კორეის მთელ ტერიტორიაზე შემოღებულია საგანგებო წესები.

გაზეთი ბეჭდავს სამხრეთ კორეის დეპეშათა სააგენტოს ხაბტონ თხონსინის მიერ სეულიდან გადმოცემულ ცნობას, რომელშიც ნათქვამია, რომ დაწყებული 14 აგვისტოს დილის 9 საათიდან 16 აგვისტოს 9 საათამდე სამხრეთ კორეის მთელ ტერიტორიაზე შემოღებულია საგანგებო წესები.

კომუნიკე

ამ ბოლო დროს მოსკოვში წარმოებდა მოლაპარაკება სსრ კავშირის მთავრობისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელთა შორის ეკონომიურ საკითხებზე, რის დამთავრების შემდეგ ხელმოწერილია:

შეთანხმება სსრ კავშირის მთავრობასა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას შორის იმაზე, თუ რა პირობებში იქნებიან მივლინებული საბჭოთა სპეციალისტები კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში და კორეელი სპეციალისტები სსრ კავშირში ტექნიკური დახმარებისა და სხვა სამსახურის გასაწევად და შეთანხმება სსრ კავშირის მთავრობასა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას შორის საბჭოთა და კორეელი სპეციალისტებისა და მუშების საწარმოო-ტექნიკური სწავლების პირობების შესახებ.

შეთანხმებანი ითვალისწინებენ სპეციალისტთა მივლინების პირობების შემდგომ უნიფიკაციას, იმ თანხების ოდენობის შემცირებას, რომლებსაც უხდიან სპეციალისტთა მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად, აგრეთვე მხარეთა შორის ანგარიშსწორების წესის გამარტივებას.

ამავე დროს ხელმოწერილ იქნა ოქმი იმის შესახებ, რომ სსრ კავშირმა ტექნიკური დახმარება გაუწიოს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას ხინამის ქარხანაში აზოტოვანი სასუქების წარმოების გაფართოებაში.

ამ ოქმით გათვალისწინებულია, რომ საბჭოთა ორგანიზაციები 1957-1958 წლებში შეასრულებენ საჭირო საპროექტო სამუშაოებს, მიაწოდებენ მოწყობილობას და გაუწევენ კორეის ორგანიზაციებს ტექნიკურ დახმარებას სსრ კავშირიდან კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაგზავნილი მოწყობილობის მონტაჟსა და გაწყობაში.

აღნიშნულ შეთანხმებებსა და ოქმს ხელი მოაწერეს: სსრ კავშირის მთავრობის სახელით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო-ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ პ. ა. მალეტინმა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ლი სინ ფხარმა.

ინდოეთის პრეზიდენტის მიმართვა ინდოელი ხალხისადმი

დელი, 14 აგვისტო. (საკდესი). ინდოეთის დამოუკიდებლობის მე-10 წლისთავთან დაკავშირებით ინდოეთის პრეზიდენტმა რაჯენდრა პრასადმა წერილით მიმართა ინდოელ ხალხს.

ჩვენი დამოუკიდებლობის მე-10 წლისთავის გამო, ნათქვამია პრეზიდენტის წერილში, მე მივესალმები და საუკეთესო სურვილებს ვუგზავნი ყველა ჩემს თანამემამულეს. წელს ჩვენ აღვნიშნავთ აგრეთვე 1857 წლის დიდი განმათავისუფლებელი მოძრაობის მეასე წლისთავს, და ის, რომ ეს მოვლენა დაემთხვა დამოუკიდებლობის დღეს, კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს ამ თარიღის მნიშვნელობას. ამიტომ დღესასწაული წელს ჩვენს ხალხს შესაძლებლობას აძლევს უფრო ნათლად გაიგოს თავისუფლების მნიშვნელობა და მისი შენარჩუნების საჭიროება.

ჩვენი ქვეყანა ერთგვარ სიძნელეებს აწყდება მეორე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების მობილიზაციის დროს. როგორი ხასიათიც უნდა ჰქონდეთ ამ სიძნელეებს, ისინი ჩვენი ქვეყნისაგან მოითხოვენ გამომგონებლობას, ჩვენი ხალხისაგან კი მტკიცე გადაწყვეტილებას შეასრულოს გეგმა მთელი ჩვენი ქვეყნის ეროვნული განვითარებისა და კეთილდღეობის ინტერესებისათვის.

დარწმუნებული ვარ, და ამისათვის საკმაო საბუთიც მაქვს, რომ ინდოელ ხალხს ვერ შეაშინებს ვერავითარი სიძნელე და რომ მთელი ჩვენი ქვეყანა ერთსულოვნად გაიღებს მსხვერპლს ამისათვის, რომ აშენოს უფრო მშვენიერი, უფრო ბედნიერი და უფრო აყვავებული ინდოეთი.

ნება მიბოძეთ მოგაგონოთ თქვენ — ინდოეთის მამაკაცებსა და ქალებს, რომ პოლიტიკური თავისუფლება არ არის სრული, სანამ იგი არ გვაძლევს სახსრებს აგრეთვე ეკონომიური თავისუფლების მიღწევისათვის, ისე, რომ ყოველ მოქალაქეს ექნეს ცხოვრების გარანტირებული პირობები და თავი დაიღწიოს გაჭირვებას. ეკონომიური განთავისუფლება აუცილებლად მოითხოვს მტკიცე ღონისძიებებს და იმას, რომ მსხვერპლად გავიღოთ პირადი კომფორტი ქვეყნის კეთილდღეობისათვის.

დადგა გამოცდის დრო, და ინდოეთს იმედი აქვს, რომ ყველა მისი მოქალაქე ახლა პატიოსნად და შეგნებულად შეასრულებს თავის მოკალეობას. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენ გამოვხმაურებით ამ მოწოდებას.

დღევანდელი დღე ეროვნული დღესასწაულის დღეა. ვიყოთ ყველანი ბედნიერნი, მხიარულნი და ხალისიანნი. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, კიდევ უფრო დიდ ბედნიერებასა და აყვავებას მომავალ წელს.

ზეიმი ინდოეთში დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით

დელი, 15 აგვისტო. (საკდესი). დღეს ინდოეთში დიდი ეროვნული დღესასწაულია — ინდოეთი აღნიშნავს თავისი დამოუკიდებლობის ათი წლისთავს. ამ ღირსშესანიშნავ წლისთავს ინდოეთში განსაკუთრებით ზეიმურად დღესასწაულობენ იმიტომაც, რომ იგი ემთხვევა დიდი ინდოელი ხალხის ისტორიის მეორე თვალსაჩინო თარიღს ინგლისელების წინააღმდეგ 1857-1858 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის ასი წლისთავს.

დღეს დილით დელში გაიმართა საზეიმო ცერემონია დამოუკიდებლობის დღის გამო. ინდოეთის სახელმწიფო ჰიმნისა და ქვემეხთა სალუტის ზალბის ხმებში პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ ეროვნული აღამი აღმართა ძველებურ ციხე წითელ ფორტზე.

შემდეგ ნერუმ წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც შეეხო იმ შემოქმედებითს ამოცანებს, რომლებიც დგას ინდოეთის წინაშე. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, განაცხადა მან, რომ ამჟამად ინდოეთი ერთი დიდი მშენებლობა გახდა. მან აღნიშნა, თუ რა სიძნელეები დგას ინდოეთის წინაშე, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს სიძნელეები იმიტომ წარმოიშვა, რომ ინდოეთი სწრაფად მიდის წინ. მან თქვა, რომ ხალხმა საკუთარი ძალებით უნდა უზრუნველყოს ინდოეთის განვითარება.

ნერუმ გაიხსენა ინდოელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა თავისი დამოუკიდებლობისათვის და ამ ბრძოლის გმირები, დიდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ 1857-1858 წლებში. ნერუმ თქვა, რომ ინდოეთი განაგრძობს სვლას მშვიდობის გზით განსაკუთრებით ატომური და წყალბადის ბომბების ამ საუკუნეში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოეთი. ცივი ომის წინააღმდეგ გამოდის. იგი აგრეთვე შეეხო ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობას და აღნიშნა, რომ ინდოეთს სურს იცხოვროს მშვიდობით პაკისტანთან, მაგრამ მუქარას არ აპყვება.

ინდოეთის შორეულ სამხრეთში კერალის შტატის დედაქალაქ ტრივანდრუმში ინდოეთის დამოუკიდებლობის დღის გამო საზეიმო ცერემონია მიმდინარეობდა რესპუბლიკის პრეზიდენტ რაჯენდრა პრასადის თანდასწრებით, რომელიც ტრადიციულად ყოველ წელიწადს მიემგზავრება ინდოეთის სამხრეთ შტატებში ამ დღის დღესასწაულზე. პრეზიდენტმა გუშინ სიტყვა წარმოთქვა ტრივანდრუმში გამართულ მიტინგზე.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ინდოეთის შტატ კერალაში კომუნისტური მთავრობის არსებობა ექსპერიმენტია თანაარსებობის დარგში და მაგალითია დანარჩენი მსოფლიოსათვის.

„ჩვენ, — განაგრძო რაჯენდრა პრასადმა, — ჩვენი საკუთარი აყვავება სხვების აყვავების შეზღუდვით როდი გვინდა. ჩვენ გვინდა პროგრესი, მაგრამ არა აგრესიის გზით, და ჩვენ გვინდა თავისუფალნი ვიყოთ, მაგრამ ამავე დროს გვინდა უზრუნველყოთ თავისუფლება ყველა სხვისათვის".

მიმართა რა მიტინგის 10.000 მონაწილეს, პრეზიდენტმა განაცხადა: „თქვენ თქვენი წვლილი შეიტანეთ ჩვენი ქვეყნის შექმნაში წარსულში, ისევე როგორც ამას აკეთებთ ახლა, და ეჭვი არ მეპარება, რომ ინდოეთი მთლიანად მზად იქნება ისარგებლოს თქვენი წვლილით ისეთი სამყაროს შესაქმნელად, რომელშიც არ იქნება შინაბრძოლა, რომელშიც ატომის ენერგიას გამოიყენებენ არა ადამიანთა მოსასპობად, არამედ ყველა ქვეყნისა და ყველა კონტინენტის ხალხთა ცხოვრებისა და კულტურის გასაუმჯობესებლად".

ამ დღეებში კალკუტაში, ბომბეიში, მადრასში, ლაკნაუსა და ინდოეთის სხვა ქალაქებში ეწყობა დამოუკიდებლობის დღისა და 1857-1858 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის ასი წლისთავი. ამ ღირსშესანიშნავი თარიღების აღსანიშნავად ეწყობა სპორტული დღესასწაულები, პოტების შეჯიბრება, თეატრალური წარმოდგენები, პატრიოტული კინოფილმების ჩვენება, იხსნება გამოფენები. გუშინ დელში ვიცე-პრეზიდენტმა რადჰაკრიშნანმა ზეიმით გახსნა გამოფენა, რომელიც წარმოდგენილია მასალები 1857-1858 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის შესახებ. დღეს ინდოეთის ვიცე-პრეზიდენტმა რადჰაკრიშნანმა პრეზიდენტის სასახლეში დიდი დარბაზობა გამართა დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, რომელსაც დაესწრნენ ინდოეთის მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრ ნერუს მეთაურობით, დიპლომატიური კორპუსის წევრები, საზოგადო მოღვაწეები.

დამოუკიდებლობის დღის დღესასწაული პაკისტანში

კარაჩი, 15 აგვისტო. (საკდესი). გუშინ პაკისტანმა ზეიმით აღნიშნა თავისი დამოუკიდებლობის მე-10 წლისთავი. დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით დაკეტილი იყო ყველა სახელმწიფო დაწესებულება და კომერციული საწარმო. კარაჩის და პაკისტანის სხვა ქალაქების ქუჩები მორთული იყო სახელმწიფო ალმებით. მთელ პაკისტანში მასობრივი მიტინგები და კრებები გაიმართა.

დამოუკიდებლობის დღის გამო მოსახლეობას წერილით მიმართა პაკისტანის პრეზიდენტმა ისკანდერ მირზამ. პაკისტანს რადიოთი მიმართა პრემიერ-მინისტრმა სუჰრავარდიმ.

პრეზიდენტმა ისკანდერ მირზამ საღამოს დიდი დარბაზობა გამართა.

ომანის ამბების გამო

ბეირუთი, 14 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „აშ-შარკი", იმოწმებს რა ომანიდან მიღებულ ცნობებს, იუწყება, რომ ომანში აჯანყებულთა მოძრაობა გრძელდება. გაზეთი აღნიშნავს, რომ ინგლისის თვითმფრინავების მიერ 42 საათის გაფთრებული დაბომბვის შემდეგ, აჯანყებული ტომები იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ ქალაქ ნაზვის ცენტრი და გადასულიყვნენ მის მიდამოებში, აგრეთვე მთიან რაიონებში, რათა დაეცვათ თავი ინგლისის ავიაციის განუწყვეტელი დაბომბვისაგან.

გაზეთი წერს, რომ ომანის აჯანყებულებმა შეცვალეს მხოლოდ ბრძოლის ტაქტიკა. მათ უარი თქვეს ღია ბაზებზე, რომლებიც კარგი სამიზნე იყო ინგლისის თვითმფრინავებისათვის.

გაზეთი წერს, რომ ომანის წარმომადგენელმა ხარსიმ განაცხადა, რომ ომანის აჯანყებულმა ტომებმა გადაწყვიტეს პარტიზანული ომი აწარმოონ ომანსა და მასკატში ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ხარსიმ შემდეგ დასძინა, რომ მასკატსა და ომანის მცხოვრებლებს სძულთ ინგლისელი კოლონიზატორები და გადაწყვიტეს რადაც უნდა დაუჯდეთ განდევნონ ისინი ომანის ტერიტორიიდან.

სან მარინოს რესპუბლიკის დიდი გენერალური საბჭოს მიმართვა

სან მარინოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანმა დ. ჯაკომინიმ სსრ კავშირის გენერალურ კონსულს სან მარინოში გაუგზავნა ტექსტი მიმართვისა, რომელიც მიიღო სან მარინოს რესპუბლიკის დიდმა გენერალურმა საბჭომ.

ქვემოთ იბეჭდება აღნიშნული მიმართვის ტექსტი:

უბრწყინვალესი სან მარინოს რესპუბლიკის დიდი გენერალური საბჭო იმ შეშფოთების გამო, რომელიც გამოიწვია მთელ მსოფლიოში თერმოატომგულის აფეთქებათა მეცნიერულად აღიარებულმა საშიშროებამ, შეგნებული აქვს რა უდიდესი პასუხისმგებლობა, რაც ეკისრება თვითეულ ცივილიზებულ ქვეყანას, აღფრთოვანებული მშვიდობისა და ჰუმანურობის ათასწლოვანი ტრადიციებით, რომლებითაც განთქმულია ჩვენი ქვეყანა, იზიარებს რა შეშფოთებას, რომელმაც მოიცვა ყველა ხალხი, მოუწოდებს შეწყდეს საცდელი აფეთქებანი, რომლებიც შეიძლება გახდეს საშინელი ხოცვა-ჟლეტის გაჩაღების პრელუდია, და მოითხოვს აიკრძალოს ატომური იარაღი და მოხდეს საყოველთაო კონტროლს დაქვემდებარებული განიარაღება.

გთხოვთ აცნობოთ ზემომოყვანილი დოკუმენტი მთავრობას, რომლის წარმომადგენელი თქვენ ხართ, ისეთი ფორმით, რომელიც ყველაზე უფრო შეესაბამება გარემოებას, და გამოვთქვამ ჩემი დიდი პატივისცემის გრძნობას.

სახელმწიფო მდივანი **დ. ჯაკომინი**

ამ დღეებში სსრ კავშირის გენერალურმა კონსულმა სან მარინოს რესპუბლიკაში სან მარინოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანს ჯაკომინის გაუგზავნა დიდი გენერალური საბჭოს მიმართვის პასუხი, რომელშიც ნათქვამია, რომ სან მარინოს დიდი გენერალური საბჭოს მიმართვას სრული გაგებითა და მოწონებით შეხვდა საბჭოთა მთავრობა, რომელიც თანმიმდევრულად ახორციელებს სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, მოითხოვს საყოველთაო განიარაღებას, ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტას და მის აკრძალვას.

პასუხი შემდეგ შეიცავს თხოვნას, რომ აცნობონ ეს სან მარინოს რესპუბლიკის დიდ გენერალურ საბჭოს.

ირანის სოფლის მეურნეობის მინისტრი ჰასან ახავი საბჭოთა კავშირში

მოსკოვში იმყოფება ირანის სოფლის მეურნეობის მინისტრი ჰასან ახავი, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოწვევით. მასთან ერთად მოსკოვში ჩამოვიდნენ ირანელი ინჟინრები მაღისა აღლი, მანუჩეჰრ აიაზი, ბეჰრუმ აია-ედ-დინი და ჯაფარ რაიი.

13 აგვისტოს დილით ირანელი სტუმრები მიიღო სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ვ. ვ. მაცკევიჩმა.

იმავე დღეს ირანის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ჰასან ახავიმ და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენები. მათ მანქანებით მოიარეს გამოფენების ტერიტორია, იყვნენ პავილიონში „ატომის ენერგია მშვიდობიანი მიზნით", მეცხოველეობის ქალაქში.

აქვე, სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიაზე, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ვ. ვ. მაცკევიჩმა საუზმე გამართა სტუმრების პატივსაცემად. ირანის სოფლის მეურნეობის მინისტრის ჰასან ახავისა და მისი თანმხლები პირების გარდა საუზმეზე იყვნენ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე პ. ს. კუჩმოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შუა აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგე ა. პ. პავლოვი, საბჭოთა კავშირის ელჩი ირანში ნ. მ. პეგოვი, სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დირექტორი ბ. ნ. ბოგდანოვი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

საუზმეზე იყვნენ აგრეთვე ირანის ელჩი საბჭოთა კავშირში ა. მასუდ-ანსარი და ირანის საელჩოს სამხედრო ატაშე გენერალ-მაიორი ი. ვალი.

14 აგვისტოს დელეგაციის წევრები კვლავ ეცნობოდნენ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენების პავილიონებსა და ექსპონატებს. (საკდესი).

მოსკოვის ესტრადის მცირე თეატრი

მიმდინარე წლის ზაფხულის სეზონში საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიას მრავალი მხატვრული კოლექტივი და ინდივიდუალური შემსრულებელი ეწვია. დღემდე გამართული მათი კონცერტები სარეკორდო და მრავალფეროვანი იყო. ამჟამად თბილისში საგასტროლოდ იმყოფება მოსკოვის ესტრადის მცირე თეატრი ალექსანდრე შუროვისა და ნიკოლოზ რიკუნინის მხატვრული ხელმძღვანელობით. ეს ნიჭიერი კოლექტივი მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩამოყალიბდა და მოსკოველი მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

„მცირე საწყენი რამ დიდ ქალაქზე" — ასე ეწოდება მოსკოვის ესტრადის მცირე თეატრის ორმოქმედებიან საესტრადო-სატირულ მიმოხილვას. რეპერტუარის ავტორები ლენინგრადის ლიტერატურული ინსტიტუტის სტუდენტები ბ. კუნი და ა. მურლინი არიან. მათ თანამედროვეობის, ჩვენი ცხოვრების ზოგიერთ მტკივნეულ საკითხზე გაუმახვილებიათ ყურადღება და შეუქმნიათ მაღალმხატვრული საესტრადო ნაწარმოები. საესტრადო-სატირულ მიმოხილვაში არ არის შიშველი, არასაჭირო დიდაქტიკა, არამედ მოქი მხატვრული საღებავების საშუალებით დახატული არიან უსულგულო ადამიანები, კარიერისტები, რომლებიც აქა-იქ ჯერ კიდევ ბოგინობენ ჩვენს სინამდვილეში. საკუთარი, პირადი კეთილდღეობით დაინტერესებული საქმოსნები პირადი ანგარების მიზნით აბუჩად იგდებენ ჭეშმარიტ სამჭოთა ადამიანებს.

მაგალითად, როიალების ფაბრიკა „კალეგას" ხელმძღვანელები უშვებენ ცუდი ხარისხის პროდუქციას. მაყურებლის თვალწინ ირღვევა ხალტურიტი ძკერავის მიერ შეკერილი კოსტიუმი, არაფრად არ ვარგა ზოგიერთი ქარხნის მიერ გამოშვებული სარეცხი მანქანა, საბავშვო სახლში ერთერთი ჟურნალის ფოტორეპორტიორი მივიდა, საბავშვო სახლის დირექტორმა ხილი და სათამაშოები გამოაჩინა, ხოლო ფოტორეპორტიორის წასვლისთანავე ყველაფერი ეს გადამალა. ასეთი ხასიათის „წვრილმანები" გამოიტანა მაყურებლის წინაშე მოსკოვის ესტრადის მცირე თეატრის კოლექტივმა. ესტრადა აშშენებს წარსულის ან მავნე გადმონაშთებს, რომელთა წინააღმდეგ ჩვენი საზოგადოებრიობა შეუპოვრად იბრძვის. ამ კეთილშობილური ამოცანის წარმატებით გადაჭრაში საესტრადო სატირულ მიმოხილვას დიდი აღმზრდელობითი როლის შესრულება შეუძლია.

მოსკოვის ესტრადის მცირე თეატრის კოლექტივი ძირითადად დაკომპლექტებულია თეატრალური ინსტიტუტის ახლადკურსდამთავრებულებით. ისინი მაყურებელთა ძოწონებას იმსახურებენ. თეატრს ჰყავს თავისი საკუთარი მუსიკალური კოლექტივი, რომლის წევრებიც აგრეთვე ახალგაზრდები არიან. ეს ჯაზ-ორკესტრი ორგანულად დაკავშირებულია საღამოს მთელ პროგრამასთან.

სპექტაკლში შესანიშნავია სახასიათო როლების შემსრულებელი მსახიობი დიმიტრი პავლოვსკი. მას რამდენიმე როლის შესრულება აქვს დაკისრებული. მათგან აღსანიშნავია როიალის ფაბრიკის დირექტორისა და სტილაგას როლები.

კარგია უზბეკეთის სსრ დამსახურებული არტისტი ოლგა ტოროპოვა „მზრუნველი დედის" როლში. მსახიობმა ქალმა მუსიკალურ ექსცენტრიკოს კარმელ კლედიკოვთან ერთად მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა.

მარია ლუკიჩის, დინა სალდატოვას, გალინა ვლასოვას და ნინა რაზუმოვას მიერ შექმნილი სახეები კარგ შთაბეჭდილებას ტოვებენ. ამ ნიჭიერ ქალიშვილებს, რომლებიც წელს პირველად გამოვიდნენ სცენაზე, შემდგომში შეუძლიათ მრავალი დასამახსოვრებელი სახე შექმნან.

კარგი იყვნენ ორიგინალური ჟანრის მსახიობები ძმები იან და ალექსანდრე ლაგუკები.

ჩვენს ქვეყანაში დიდი სიყვარულით სარგებლობენ ესტრადის ცნობილი მსახიობები ალექსანდრე შუროვი და ნიკოლოზ რიკუნინი მათ მიერ შესრულებული საესტრადო კუპლეტები დარბაზში ყოველთვის ჯანსაღ სიცილს იწვევს.

მოსკოვის ესტრადის მცირე თეატრმა საესტრადო-სატირული მიმოხილვის „მცირე საწყენი რამ დიდ ქალაქზე" დადგმით ერთი მთლიანი სპექტაკლი შექმნა. სპექტაკლი აკმაყოფილებს ყველა პირობას, რაც კი ესტრადას მოეთხოვება.

ბ. ბაკურაძე.

* * *

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): **მოსკოვის ესტრადის მცირე თეატრის მსახიობები ა. შუროვი და ნ. რიკუნინი ერთ-ერთი საესტრადო ნომრის შესრულების დროს.**

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ხილ-ბოსტნეული მოსკოვის მშრომელებს

ახლახან შექმნილმა საქხილბოსტნის ქუთაისის სარაიონთაშორისო ბაზამ დიდი გადამეტებით შეასრულა ივლისის დავალება. ბაზას ხილ-ბოსტნეულს აბარებენ თერჯოლის, მაიაკოვსკის, ცაგერის და ამბროლაურის რაიონები.

უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში ბაზამ მოსკოვში გაგზავნა 20 ვაგონი მსხალი, ვაშლი, ქლიავი და სხვა მაღალხარისხოვანი ხილ-ბოსტნეული.

ბაზის კოლექტივმა იკისრა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის — 7 ნოემბრისათვის შეასრულოს ხილ-ბოსტნეულის გაგზავნისა და გადამუშავების წლიური დავალება და სახელმწიფოს მისცეს 200 ათასი მანეთის ზეგეგმითი მოგება. („კომუნისტის" კორ).

ფეხბურთში მსოფლიო პირველობის შერჩევითი მატჩი

ბელგრადი, 15 აგვისტო. ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართა შერჩევითი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში. თამამობდნენ ფინეთისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები.

საბჭოთა ფეხბურთელებმა მატჩი ძლიერად ჩაატარეს. მათ შეხვედრა მოიგეს დიდი ანგარიშით — 10 : 0.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

დღეს თბილისის კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზაფხულო), **ოქტომბერი, ისანი** (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** — ოჯახის ღირსება, **ამირანი** (საზამთრო), **ფილარმონიის ბაღი, ვოროშილოვის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი** — არყის ხეები ველზე, **ისანი** (საზაფხულო) — ბრძოლა ველზე, **სპარტაკი** — მამა, დედა, მოსამსახურე და მე, **კომკავშირელი, ყაზბეგი, ორჯონიკიძის სახელობის პარკი, ვაკის პარკი, კიროვის სახელობის პარკი** — ჩემი საწყალი საყვარელი დედა, **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო). **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — პოდგოლიე ცეცხლში, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **დიდუბე** (საზამთრო) — პოეტი, **საქართველო** (მწვანე დარბაზი) — ქეთო და კოტე, **კოლხიდა** (საზამთრო) — ქვალი რჩება, **კოლხიდა** (საზაფხულო) — ტერეზა რაკენი, **ოფიცერთა სახლი, კოლმეურნე** — მე შევხვდი ქალიშვილს, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — აბეზარა, **ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — ირენა, **შინ! დიდუბე** (საზაფხულო) — ციცაბო საფეხურები, **სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — მას უყვარხარ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ფუნქციათა თეორიის და ფუნქციონალური ანალიზის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე.

განცხადებები და საჭირო საბუთები მიიღება ინსტიტუტის დირექციაში (ძერჟინსკის ქ. № 8).

კონკურსის ვადაა ერთი თვ